

დაჩი თეგაძე

არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვით ჩადენილი
მკვლევლობის სუბსუმცია, შედარება ქართულ და გერმანულ
სისხლის სამართალში

წარმოდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
თბილისი, 0178, საქართველო
ივნისი 2019

საავტორო უფლება 2019 დაჩი თეგაძე

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებთ, რომ გავეცანით დაჩი თეგაძის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვით ჩადენილი მკვლევლობის სუბსუმცია, შედარება ქართულ და გერმანულ სისხლის სამართალში და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი

ხელმძღვანელი: _____

რეცენზენტი: _____

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

2019 წელი

ავტორი: დაჩი თეგაძე

დასახელება: არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვით ჩადენილი მკვლევლობის სუბსუმცია, შედარება ქართულ და გერმანულ სისხლის სამართალში

ფაკულტეტი :

ხარისხი: სამართლის მაგისტრი

სხდომა ჩატარდა:

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემო მოყვანილი დასახელების ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

ანოტაცია

სისხლის სამართლის ლიტერატურაში ევენტუალური განზრახვის საკითხი ერთ-ერთი საკამათოა. არაერთი თეორია ჩამოყალიბდა ევენტუალურ განზრახვასთან დაკავშირებით, რაც საკითხის მნიშვნელობაზე მიუთითებს. ევენტუალურ განზრახვაზე განსხვავებული მიდგომაა სხვადასხვა ქვეყნის სამართალშიც.

მაშინ, როცა ქართული, გერმანული და მთელი რიგი ქვეყნების სისხლის სამართლის მიხედვით, ევენტუალური განზრახვა განზრახვის სახეა, ამერიკული, ინგლისური და ფრანგული სამართლის შესაბამისად, იგი არ მიიჩნევა განზრახვის სახედ და მას თვითიმედოვნებასთან ერთად განიხილავენ სუბიექტური მხარის დამოუკიდებელ ფორმად, რომელიც გაუფრთხილებლობას უფრო გამოხატავს, ვიდრე განზრახვას.

სარჩევი

შესავალი

თავი 1. პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვა სისხლის სამართალში

1.1. განზრახვის სახეებად დაყოფის მნიშვნელობა

1.2. პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაულის გამიჯვნა ქართული სამართლის მიხედვით

თავი 2. არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვით ჩადენილი მკვლელობა

2.1. ევენტუალური განზრახვის რაობა

2.2. დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება ევენტუალური განზრახვით

თავი 3. არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვით ჩადენილი მკვლელობა გერმანულ სამართალში

დასკვნა

გამოყენებული ლიტერატურა

შესავალი

კრიმინოლოგიაში დამნაშაულის განსაზღვრების უამრავი ინტერპრეტაცია არსებობს, მათგან შესაძლებელია გამოვყოთ ფილოსოფიური, სამართლებრივი, სისხლისსამართლებრივი და რელიგიური განმარტებები. თუმცა ბევრი მეცნიერი იზიარებს იმ აზრს, რომ კრიმინოლოგებს არ ძალუძთ წარმოადგინონ დამნაშაულის ზუსტი ცნება. მრავლესობის აზრით იმ დეფინიციის მხარეზე, რომელიც შეიცავს თვითნებობისა და წინააღმდეგობრიობის ელემენტებს. დამნაშავეობის კვლევა მეცნიერულ დონეზე დაიწყო მე18 საუკუნიდან და დღემდე გრძელდება. კრიმინოლოგია როგორც მეცნიერება განვითარების და ჩამოყალიბების ეტაპზე იმყოფება, ამიტომ ზოგიერთ ქვეყანაში მას იურისპრუდენციის გარდა მეცნიერების სხვადასხვა სფეროს მიაკუთვნებენ. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში კრიმინოლოგია სოციოლოგიის დარგია, ხოლო პოსტ საბჭოთა სივრცეში სამართლის მეცნიერებას მიეკუთვნება. სამართლის სხვადასხვა დარგი ცდილობს პასუხი გასცეს კითხვას ვინ არის დამნაშვე თუმცა, მიუხედავად ამისა, არ არსებობს მრავალი განმარტება, რომლებიც იძლევიან დამნაშავეობის ცნების სრულ დეფინიციას.

პირველ რიგში დამნაშავეობა ადამიანის სოციალური ქცევის ფორმაა, რომელიც ხელს უშლის საზოგადოებრივი ორგანიზმის ნორმალურ ფუნქციონირებას. თუმცა ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ ლომბროზო და დიურკჰეიმი მიიჩნევენ, რომ დამნაშავეობა ბუნებრივი მოვლენაა და ის ნებისმიერ საზოგადოებას თან სდევს, მაშინ ეჭვქვეშ დგება დამნაშავეობის, როგორც ნეგატიური მოვლენის გაგება, თუმცა ის უარყოფითი მოვლენები, რაც დამნაშავეობას თან სდევს არ გვაძლევს

საშუალებას მოვიხსენიოთ ის სხვანაირად თუ არა როგორც ნეგატიური მოვლენა. დამნაშავეობა საზოგადოებრივი მოვლენაა, ვინაიდან დანაშაულებრივ ქმედებებს გააჩნიათ განსაკუთრებული მახასიათებლები. ეს მოქმედებები კანონშია აღწერილი და სამართლის ნორმების დარღვევას წარმოადგენს. დამნაშავეობა კონკრეტულად სისხლისსამართლებრივი მოვლენაა. მასში შემავალ დანაშაულთა წრეს განსაზღვრავს სისხლის სამართლის კანონმდებლობა. დამნაშავეობის სამართლებრივი მხარე აშკარად მუდავნდება კანონმდებლობაში შეტანილი სერიოზული ცლილებების დროს. განსაკუთრებით, როდესაც ხდება დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სფეროს შევიწროვება ან გაფართოება. დამნაშავეობის ლეგალური გავება გამორიცხავს დამნაშავეობაში ისეთი ცნებების არსებობას, როგორცაა ამორალური საქციელი. ხოლო მართლწინააღმდეგობის ხარისხი განასხვავებს მას ისეთი სამართალდარღვევებისგან როგორებიცაა დისციპლინარული, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლებრივი. 2006 წლიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მრავალი ცვლილება განხორციელდა, რომელთაგანაც რამდენიმე, ადამიანის წინააღმდეგ დანაშაულებსაც შეეხო (თავი მე-19) და დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის ნორმაშიც კვოვა ასახვა (მუხლი 109), რაც მის პუნქტობრივ დაყოფაში, სანქციათა დიფერენციაციასა და შესაბამისად, შეფარდების განსხვავებულ წესში გამოიხატა.

2006 წლის საკანონმდებლო ცვლილებებამდე სს კოდექსის 109-ე მუხლი სტრუქტურულად ერთიანი იყო (არ ითვალისწინებდა ნაწილებად და ქვეპუნქტებად დაყოფას) და ერთიანი სასჯელს გულისხმობდა (ათიდან ოც წლამდე ანდა თავისუფლების უვადო აღკვეთა), ცვლილებების შემდეგ კი აღნიშნული მუხლი ნაწილებად დაიყო (სამ ნაწილად), გარემოებები გარკვეული ნიშნით დაჯგუფდა (ქვეპუნქტების სახით), ხოლო თითოეული ნაწილისათვის განსხვავებული ზომის საჯელი იქნა გათვალისწინებული (109-ე მუხლი ითვალისწინებს: 1-ლი ნაწილი 11-დან 14 წლამდე, მე-2 ნაწილი 13-

დან 17 წლამდე, მე-3 ნაწილი კი – 16-დან 20 წლამდე ანდა თავისუფლების უვადო აღკვეთას). როგორც აღინიშნა, სს კოდექსში ცვლილებების შემდეგ, 109-ე მუხლი სამ ნაწილად დაიყო, რამაც უმთავრესად სანქციათა დაყოფა განაპირობა. სასჯელთა დიფერენციაცია და მათ შორის სხვაობა, ქმედების საზოგადოებრივად საშიშროების ხარისხზე მიუთითებს, რაც კონკრეტული დამამძიმებელი გარემოებითაა განპირობებული, ხოლო გარემოებათა დიფერენციაცია სასჯელთა დიფერენცი-აციის მიზნით, ამ გარემოებათა ურთიერთ-შეპირისპირებულობასა და მათ მეტ-ნაკლებ (განსხვავებულ) საშიშროებაზე უსვამს ხაზს. გამოდის, რომ ორი ან მეტი პირის მკვლელობა უფრო საშიშია, ვიდრე დამნაშავეისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მკვლელობა და კიდევ უფრო მეტად საშიში, - ვიდრე მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებ-რივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, ან განზრახი მკვლელობანი სხვა გარემოებებით.

წმინდა თეორიული თვალსაზრისით, სს კანონმდებლობიდან გამომდინარე, სს მეცნიერებაც საზოგადოებრივი ხასიათისაა, ისევე, როგორც სხვა მონათესავე მეცნიერებანი, და ორიენტირებულია ადამიანზე, როგორც საზოგადოებრივ სუბიექტზე. სს კანონი იცავს ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, უფრო ხილდება საზოგადო მოღვაწის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, აფასებს მის სრულფასოვნებას.

მოქმედი ქართული სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 და მე-10 მუხლებიდან გამომდინარე, დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნას განზრახ ან გაუფრთხილებლობით. დასჯადია მხოლოდ განზრახი ქმედება. დანაშაულის ჩადენა გულისხმობს არა მხოლოდ განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელებას არამედ არსებობს ასევე განზრახი დანაშაულის ქმედების სუბიექტური შემადგენლობა, რომელიც თავის თავში მოიცავს განზრახვას და განზრახი დანაშაულის სხვა სუბიექტურ ნიშნებს.

განზრახი დანაშაულის ქმედების შემადგენლობის სუბიექტურ ნიშნებს ყველა შემთხვევაში წარმოადგენს: სპეციალური მიზანი, სპეციალური ცოდნა და უმართლობის დამატუქნებელი სხვა მოტივები, მაშინ როდესაც ანაგარება, ხულიგნური და სხვა დაბალი ქვენაგრძნობები, როგორც პერსონალური ნიშანი. მაშასადამე, ნებისმიერი განზრახი დანაშაულის შემტხვევაში აუცილებელია შემოწმდეს ქმედების სუბიექტური შემადგენლობა¹.

კვლევის მიზანი. სადიპლომო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვით ჩადენილი მკვლელობის სუბსუმცია, შედარება ქართულ და გერმანულ სისხლის სამართალში. აღნიშნულ საკითხს ვეხებით მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც აუცილებელია მოცემული თემის სიღრმისეული და საფუძვლიანი დახასიათებისათვის.

თეორიულ მეთოდური ბაზა. სადიპლომო ნაშრომის თეორიულ ბაზას წარმოადგენს ქართველი მეცნიერ-იურისტების ნაშრომები საკვლევ საკითხთან დაკავშირებით. ნაშრომში ასევე გამოყენებულია პერიოდულ გამოცემებსა და ინტერნეტ სივრცეში გამოქვეყნებული სტატიები და სამართლებრივი აქტები. დასახული მიზნის მისაღწევად ამ გზით მიღებული ინფორმაციის ანალიზს. აღნიშნული მიზნის უზრუნველსაყოფად სხვადასხვა მეთოდებთან ერთად გამოვიყენებ შედარებით-სამართლებრივ და ანალიტიკურ მეთოდებს.

¹ ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა (მე-8 გამოცემა) თბ. 2010, გვ.124-125

თავი 1. პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვა სისხლის სამართალში

1.1. განზრახვის სახეებად დაყოფის მნიშვნელობა

განზრახვის სახეებად დაყოფას პრინციპული მნიშვნელობა გააჩნია ქმედების დანაშაულის მცდელობად შეფასების საკითხში. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლი ერთმანეთისაგან მიჯნავს პირდაპირი და არაპირდაპირი (ევენტუალური) სახის განზრახვას². პირდაპირი განზრახვა, თავის მხრივ, მეცნიერებაში იყოფა პირველი და მეორე ხარისხის პირდაპირ განზრახვად. პირდაპირი განზრახვისათვის დამახასიათებელია ფაქტობრივი გარემოებების ცოდნა და სურვილი, ანდა, შესაძლებელია, პირდაპირ განზრახვაში სურვილის ელემენტი საერთოდ არ არსებობდეს, მაგრამ დამნაშავე ითვალისწინებდეს შედეგის დადგომის გარდაუვალობას. რაც შეეხება არაპირდაპირ განზრახვას, აქ დამნაშავეს არ სურს შედეგი, თუმცა იგი შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება შედეგის დადგომას³. ასევე, სისხლის სამართლის დოგმატიკაში განზრახვას ყოფენ სხვადასხვა სახეებად, კერძოდ, განსაზღვრულ (კონკრეტობრივ), განუსაზღვრელ (არაკონრეტობრივ), ალტერნატიულ განზრახვად⁴ და ა. შ. განსაზღვრული და

² ტყეშელიძე გ., წიგნში: სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, რედ.: ნაჭყებია გ., დვალიძე ი., თბილისი, 2007. გვ. 129.

³ ტურავა ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, Mმე-9 გამოცემა, თბილისი, 2013. გვ. 130-133;

⁴ გამყრელიძე გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2008., გვ. 105.

განუსაზღვრელი განზრახვა, შესაძლებელია, იყოს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი სახის განზრახვა. პირდაპირი კონკრეტიზირებული განზრახვის დროს დამნაშავეს ზუსტად აქვს წარმოდგენილი, თუ რა შედეგს გამოიწვევს მისი ქმედება. მაგალითად, როდესაც დამნაშავე დაზარალებულს სახეში გოგირდმუჟავას შეასხმას, მას ზუსტად აქვს წარმოდგენილი, რომ მისი ქმედება ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანებას გამოიწვევს. მაგრამ, თუ დაზარალებული სახის განევას მოასწრებს, მაშინ დამნაშავეს ქმედება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების მცდელობით უნდა შეფასდეს (სსკ-ის მე-19, 117-ე მუხლი). ქმედება ასე დაკვალიფიცირდება მაშინაც, როდესაც დამნაშავეს ქმედებას ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი ხარისხის დაზიანება მოჰყვება.

სისხლის

სამართლის ლიტერატურაში სწორად მიუთითებენ იმის შესახებ, რომ არაკონკრეტიზირებული (განუსაზღვრელი) პირდაპირი განზრახვის დროს პასუხისმგებლობის საკითხი დამდგარი შედეგის მიხედვით უნდა გადანყდეს. მაგალითად, დამნაშავეს სურს დაზარალებულის ჯანმრთელობის დაზიანება, მაგრამ იგი არ ითვალისწინებს იმას, თუ რა ხარისხის დაზიანება შეიძლება მოჰყვეს მის ქმედებას. თუ დამნაშავეს ქმედებამ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება გამოიწვია, მაშინ ქმედება სწორედ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების მუხლით (სსკ-ის 117-ე მუხლი) უნდა დაკვალიფიცირდეს. მაგრამ, არ არის გასაზიარებელი ქმედების ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანების მცდელობად შეფასება მაშინ, როდესაც დამნაშავეს ქმედებას შედეგი არ მოჰყვება.

საქმე იმაშია, რომ ასეთ შემთხვევებში, დამნაშავეს ქმედების ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებად შეფასებას წინ არაფერი არ უდგას, მითუმეტეს, რომ განზრახვის ბუნება მდგომარეობს იმაში, რომ, თუ კი განზრახვა საკმარისია დამთავრებული დანაშაულისათვის, ამ შემთხვევაში სსკ-ის 117-ე მუხლით გათვალისწინებული ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის, მაშინ იგი ასევე საკმარისი უნდა იყოს დაუმთავრებელი დანაშაულისთვისაც, ამ შემთხვევაში სსკ-ის მე-19, 117-ე მუხლით

გათვალისწინებული ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების მცდელობისათვის.

კონკრეტიზირებული არაპირდაპირი განზრახვის დროს დამნაშავე უშვებს კონკრეტული შედეგის დადგომის შესაძლებლობას და, შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება იმის მიხედვით, თუ რა სიმძიმის დაზიანებას ითვალისწინებს დამნაშავე. მაგალითად, შესაძლებელია, დამნაშავე ითვალისწინებდეს დაზარალებულისათვის ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანების მიყენების შესაძლებლობას, მაგრამ, თუ დამნაშავის ქმედებას შედეგად ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი დაზიანება მოჰყვება, მაშინ მას პასუხისმგებლობა დაეკისრება ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების მცდელობისათვის (სსკ-ის 19, 117-ე მუხლი⁵). რაც შეეხება არაკონკრეტიზირებულ არაპირდაპირ განზრახვას, სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულების თანახმად, აქაც პასუხისმგებლობის საკითხი ფაქტიურად მიყენებული შედეგის მიხედვით წყდება.⁶ თუმცა დასახელებულ პოზიცია ისევე დაუსაბუთებელია, როგორც ამას არაკონკრეტიზირებული პირდაპირი განზრახვის დროს ჰქონდა ადგილი და, შესაბამისად, ზემოთ გამოთქმული კრიტიკა ამ შემთხვევაზეც ვრცელდება. გასაზიარებელი არ არის იმ მეცნიერთა შეხედულება, რომლის მიხედვით, შეუძლებელია არაკონკრეტიზირებული (განუსაზღვრელი) განზრახვის დროს ქმედების დანაშაულის მცდელობად კვალიფიკაცია. ამასთან, ეს მეცნიერები გამოდიან არაკონკრეტიზირებული პირდაპირი და არაკონკრეტიზირებული არაპირდაპირი განზრახვის დიფერენციაციის წინააღმდეგ.⁷

განზრახვის შემდეგ სახეს

⁵ ებრალიძე ებრალიძე თ., სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, (დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ), საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2002., გვ. 106-107.

⁶ ებრალიძე ებრალიძე თ., სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, (დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ), საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2002., გვ. 107.

⁷ სურგულაძე (2002), გვ. 21; ტყეშელიაძე, ზოგადი ნაწილი (2007), გვ. 135.

წარმოადგენს ალტერნატიული განზრახვა, რომელიც სისხლის სამართლის ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად არის გაგებული.

სისხლის სამართლის

ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ ალტერნატიულ განზრახვას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც დამნაშავეს სურს ორი სხვადასხვა ღირებულების სიკეთიდან ერთ-ერთის (სიცოცხლე ან ჯანმრთელობა) დაზიანება, თუმცა მისთვის სულერთია, რომელი სიკეთე იქნება ხელყოფილი (პირდაპირი ალტერნატიული განზრახვა), ანდა შესაძლებელია ამ ორი სიკეთიდან დამნაშავე ერთ-ერთის ხელყოფის შესაძლებლობას უშვებდეს (არაპირდაპირი ალტერნატიული განზრახვა). ორივე შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი წყდება ერთნაირად. მაგალითად, თუ დამნაშავე შეგნებულად უშვებს დაზარალებულის სიკვდილს ან ჯანმრთელობის დაზიანებას და მის ქმედებას შედეგად დაზარალებულის ჯანმრთელობის დაზიანება მოჰყვება, მაშინ დამნაშავეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება ყველაზე უფრო მძიმე დანაშაულის მცდელობისათვის, ე. ი. მკვლელობის მცდელობისათვის. სისხლის სამართლის ეს მეცნიერები ალტერნატიულ განზრახვას მიჯნავენ არაკონკრეტიზირებული განზრახვისაგან იმით, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ადგილი აქვს ერთიდაიგივე ობიექტის ფარგლებში სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებებისადმი დამნაშავის დამოკიდებულებას.⁸ ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ ალტერნატიული განზრახვა სახეზეა მაშინ, როდესაც დამნაშავეს გააჩნია დამოკიდებულება თანაბარი ღირებულების ობიექტების (მაგალითად, ორი ადამიანის სიცოცხლე) მიმართ, ასევე მაშინაც, როდესაც ასეთი დამოკიდებულება დამნაშავეს სხვადასხვა ღირებულების ობიექტების (მაგალითად, ადამიანის სიცოცხლე და საკუთრება) მიმართ აქვს. ამიტომ,

⁸ ებრალიძე ებრალიძე ებრალიძე თ., სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, (დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ), საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2002, გვ. 107-108.

ალტერნატიული განზრახვის დროს ქმედების სწორად შეფასებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ობიექტის ღირებულებას. იქ, სადაც ადგილი აქვს ორი თანაბარი სამართლებრივი სიკეთიდან ერთ-ერთი სიკეთის ხელყოფას, ქმედების დანაშაულის მცდელობად შეფასება გამორიცხულია. ანალოგიურ კვალიფიკაციას აქვს ადგილი მაშინაც, როდესაც, არათანაბარი სამართლებრივი ღირებულების სიკეთიდან დამნაშავე ხელყოფს უფრო დიდი ღირებულების მქონე სიკეთეს. მაგალითად, დამნაშავემ გაისროლა ცხენზე ამხედრებული კაცის მიმართულებით. ამასთან, მისთვის სულერთია კაცი მოკვდება თუ ცხენი. გასროლის შედეგად კაცი გარდაიცვალა. იმ შემთხვევაში, თუ არათანაბარი ღირებულების მქონე ობიექტებიდან დამნაშავე ხელყოფს უფრო მცირე ღირებულების მქონე სიკეთეს, მაგალითად, ცხენს, მაშინ დამნაშავის ქმედება კაცის მიმართ დანაშაულის მცდელობად უნდა შეფასდეს, ხოლო ცხენის მიმართ სხვისი ნივთის დაზიანებად ან განადგურებად. მაგრამ, თუ არც ერთი სამართლებრივი სიკეთე არ დაზიანდა, მაშინ დამნაშავის ქმედება მხოლოდ მკვლელობის მცდელობად უნდა შეფასდეს. დასახელებული პოზიციის ავტორი ყურადღების გარეშე არ ტოვებს უმცირესობის იმ მოსაზრებას, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ ალტერნატიული განზრახვის დროს სამართლებრივ სიკეთეთა ღირებულებას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება, არამედ, ქმედების შეფასებისათვის მთავარია კონკრეტულად დამდგარი შედეგი, რომელიც გამორიცხავს ქმედების დანაშაულის მცდელობად შეფასების შესაძლებლობას⁹.

განზრახვის შემდეგ სახეს მიეკუთვნება კუმულაციური განზრახვა, რომლის დროსაც დამნაშავეს განზრახული აქვს ერთდროულად ორი ან მეტი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა. მაგალითად, დამნაშავის ქმედება მიმართულია დაზარალებულის და მისი ავტომანქანის წინააღმდეგ. ამის შედეგად, თუ ერთ-ერთი სიკეთე გადარჩა,

⁹ ტურავა (ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, Mმე-9 გამოცემა, თბილისი, 2013.გვ. 147-148.

მაშინ ადგილი ექნება ორმაგი სახის კვალიფიკაციას, კერძოდ, გადარჩენილი სიკეთის მიმართ ქმედება დანაშაულის მცდელობად უნდა შეფასდეს, ხოლო დაზიანებული სიკეთის მიმართ ადგილი ექნება დამთავრებულ განზრახ დანაშაულს¹⁰. ამასთან, სისხლის სამართლის ლიტერატურაში დაისვა საკითხი შემდეგნაირად: შესაძლებელია თუ არა, რომ დანაშაულზე ხელის აღებად ჩაითვალოს შემთხვევა, როდესაც დამნაშავე დაზარალებულის გადარჩენას შესაძლებლად თვლის (და არა გარდაუვლად), ე. ი. როდესაც დამნაშავე მოქმედებს ევენტუალური განზრახვით. მაშასადამე, იგი დაზარალებულის გადარჩენაში დარწმუნებული არ არის.

1.2. პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაულის გამიჯვნა ქართული სამართლის მიხედვით

კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, განზრახ დანაშაულად ითვლება ქმედება, რომელიც ჩადენილია პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვით. ე.ი. კოდექსის მე-9 მუხლი განასხვავებს განზრახვის ორ სახეს: პირდაპირს და არაპირდაპირს (ევენტუალურს). კოდექსის მე-9 მუხლის მე2 ნაწილის თანახმად, ქმედება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდუვალობას.

“ამ მუხლის მიხედვით, – წერს მ. ტურავა, – განზრახვა სამკომპონენტია, რომელიც ზოგადად შეიძლება შემდეგი ფორმულით

¹⁰ ტურავა (ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, Mმე-9 გამოცემა, თბილისი, 2013. გვ. 149.

გამოიხატოს: ცოდნა იმისა, რასაც ვაკეთებ, ნებელობა იმისა, რასაც ვაკეთებ და მართლწინააღმდეგობის შეგნება”.¹¹ პირდაპირი განზრახვის დროს პირის ნება მიმართულია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული შედეგისაკენ – ანდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდუვალობისაკენ. პირი არა მარტო ითვალისწინებს ასეთ შედეგს, არამედ სურს კიდევაც იგი. მაგალითად, კაცი ესვრის იარაღიდან სხვას, ითვალისწინებს, რომ მის მოქმედებას მოჰყვება სიკვდილი და სურს კიდევაც იგი. თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში განზრახვისა და მართლწინააღმდეგობის შეგნების შესახებ სამეცნიერო მსჯელობა კვლავაც აქტუალურია. სისხლის სამართლის ქართულ დოქტრინაში ამ ცნებებთან მიმართებით დღემდე არ არსებობს ერთიანი პოზიცია. ქართველ იურისტებს შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ამ ცნებების ადგილი და შინაარსი დანაშაულის ერთიან სისტემაში. მართალია, შინაარსობრივი თვალსაზრისით, დღეს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში მოცემული ნორმები ერთგვარად განსხვავდება ადრე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის ანალოგიური ნორმებისგან, მაგრამ ეს ცვლილება, შეიძლება ითქვას, რომ განზრახვისა და მართლწინააღმდეგობის შეგნების ურთიერთმიმართების საკითხსა და მათ ადგილს დანაშაულის სისტემაში ნაკლებად ეხება. მოქმედი კოდექსის მე-7 მუხლი, რომელიც ეძღვნება დანაშაულის ზოგად ცნებას, საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლისგან („სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლები“) განსხვავებით, მართალია, განზრახვას ბრალის ფორმად აღარ მოიხსენიებს, მაგრამ ამ ნორმაში არც იმაზეა პირდაპირი მითითება, რომ იგი ქმედების შემადგენლობის სუბიექტურ ნიშანს განეკუთვნება¹². სწორედ ეს აძლევთ

¹¹ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეშვი-დე გამოცემა, თბ., 2010, გვ. 127.

¹² ლ. მალლაკელიძე, განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) (დისერტაცია) 2012, გვ.154-155

ცალკეულ მეცნიერებს იმის საფუძველს, რომ განზრახვა, ისევე როგორც გაუფრთხილებლობა, კვლავ ბრალის სფეროში მოიაზრონ.

თანამედროვე ქართულ იურიდიულ დოგმატიკაში შეიძლება, გამოიყოს ავტორთა ორი ჯგუფი, რომელიც ამ პრობლემას განსხვავებულად აანალიზებს. მეცნიერთა პირველი ნაწილი განზრახვას ბრალში მოიაზრებს, მეორე ნაწილი კი ქმედების შემადგენლობის ეტაპზე განიხილავს. ავტორთა პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან გ. ტყეშელიაძე, გ. ნაჭყებია, ლ. გ. კუტალია. ავტორთა მეორე ჯგუფს კი – მ. ტურავა, ო. გამყრელიძე, ი. დვალიძე. გ. ტყეშელიაძე განზრახვას, ისევე, როგორც გაუფრთხილებლობას, მოქმედი კოდექსის შესაბამისი ნორმებიდან გამომდინარე, ბრალს აკუთვნებს და ამ უკანასკნელს ნორმატიულ ფუნქციასაც ანიჭებს. „ბრალის ცნება შეიცავს არა მარტო შესაბამის ფსიქიკურ ნიშნებს (ბრალის აღწერილობითი მომენტი), არამედ პირის შეფასების ანუ გაკიცხვის მომენტს (ნორმატიული მომენტი)“, – აღნიშნავს ავტორი და იქვე განაგრძობს: „ამ ორი მომენტის სინთეზის საფუძველზე, ბრალის ცნება შეიძლება, ასე განისაზღვროს: ბრალი არის პირის გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულება ქმედებისა და მისი შედეგისადმი.“ მაშასადამე, მეცნიერი აღნიშნული მსჯელობით, ბრალის ნორმატიულ-ფსიქოლოგიურ თეორიას იზიარებს და ამ შეხედულების მართებულობას მოქმედი კანონმდებლის პოზიციიდან გამომდინარე ასახულებს¹³.

გ. ნაჭყებიას მოსაზრებით, ბრალი არის „მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება“, რომელიც „არაა მონყვეტილი ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის ფსიქიკურ დამოკიდებულებას“, მაგრამ არც „ამ ფსიქიკურ

¹³ იქვე

დამოკიდებულებაზე დაიყვანება“. განზრახვა და გაუფრთხილებლობა კი ამ უპასუხისმგებლობის, ე.ი. ბრალის ფორმებია¹⁴.

ლ. გ. კუტალია განზრახვას, ისევე როგორც გაუფრთხილებლობას, ბრალის ეტაპზე განიხილავს. ამის შესახებ ავტორი უთითებს: „სისხლის-სამართლებრივი ბრალი არის სისხლისსამართლებრივი მოვალეობის ნებისმიერად ანუ განზრახ ან გაუფრთხილებლობით დარღვევა, როგორც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზიანო შედეგის ან საფრთხის სუბიექტური მიზმი“¹⁵.

ზემოაღნიშნულ ავტორთა შეხედულების საწინააღმდეგოდ, მ. ტურავა განზრახვას ქმედების შემადგენლობის ეტაპზე განიხილავს. იგი განზრახვის ცალკეულ ელემენტებს დანაშაულის სისტემაში განსხვავებულად ანაწილებს. კერძოდ, მის ორ კომპონენტს – ცოდნასა და ნებელობას ქმედების შემადგენლობის, ხოლო მართლწინააღმდეგობის შეგნებას ბრალის სფეროში მოიაზრებს.

მისი თვალსაზრისით, განზრახვის სამი კომპონენტიდან პირველი ორი უნდა დადგინდეს ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ეტაპზე, რადგან, ავტორის პოზიციით, ფაქტობრივი გარემოებების ცოდნა და ნებელობა აქვს არა მარტო მოჩვენებითი მოგერიების მდგომარეობაში მოქმედ პირს, არამედ მასაც, ვინც მოქმედებას მართლზომიერად¹⁶. უმართლობის შეგნება კი, ქმედების განზრახვისგან დამოუკიდებლად, ბრალის ეტაპზე უნდა შემონმდეს.

მ. ტურავას ეს პოზიცია დასაბუთებულია. ადამიანის ქცევა მისი ფსიქიკისგან განუყრელია. შესაბამისად, ადამიანის ქცევისგან განზრახვის გათიშვა და მისი ბრალის ცნებაში გადატანა გაუმართლებელია. გარდა ამისა, ბრალი, როგორც თავად შეფასება, არ შეიძლება შეიცავდეს შეფასების ობიექტს – განზრახვას – როგორც ფსიქიკურ კატეგორიას. იგი ან ფსიქოლო-

¹⁴ ნაჭყებია გ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2011. გვ. 378-390

¹⁵ კუტალია ლ. გ., ბრალი სისხლის სამართალში, თბ., 2000. გვ.575

¹⁶ ტურავა მ., სისხლის სამართალი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011., გვ. 266.

გიურ კატეგორიად უნდა დარჩეს, ან მართო შეფასებით კატეგორიად იქცეს. სწორედ ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, არაბოროტი განზრახვა, უდავოდ, ქმედების შემადგენლობას უნდა ეკუთვნოდეს. რაც შეეხება მართლწინააღმდეგობის შეგნებას, მეცნიერი მას ასე განმარტავს: „განზრახვის ცნების საკანონმდებლო ნორმაში (სსკ-ის მე-9 მუხლი) მოცემულ დეფინიციაში „მართლწინააღმდეგობის შეგნება“ არ მოიაზრებს წმინდა სამართლებრივ შეცდომას, ანუ იგი არ ეხება შეცდომას აკრძალვაში, რომელიც განზრახვისგან დამოუკიდებელი ბრალის ცალკე კომპონენტია (სსკ-ის 36-ე მუხლი), არამედ განზრახვის მესამე კომპონენტია მართლწინააღმდეგობის შეგნება ფართო გაგებით.“¹⁷

მაშასადამე, მ. ტურავას შეხედულების მიხედვით, მართლწინააღმდეგობის შეგნება ფართო გაგებით, რომელიც გამომდინარეობს სსკ-ის მე-9 მუხლიდან, და სსკ-ის 36-ე მუხლში მოცემული სამართლებრივი შეცდომა, ბრალის ორი დამოუკიდებელი პრობლემაა, რომლებიც მხოლოდ სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით არის ერთმანეთის მსგავსი. უმართლობის შეგნების ასეთი დიფერენციაცია სწორია, ვინაიდან აღნიშნულით შესაძლებელია აკრძალვაში შეცდომისა და მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული შეცდომის ერთმანეთისგან ურთიერთგამიჯვნა. ეს საკითხი უფრო დაწვრილებით ქვემოთ იქნება გაანალიზებული. ცალკე არის ყურადსაღები მ. ტურავას თვალსაზრისი გაუფრთხილებლობის თაობაზე. ავტორი ასეთ შემთხვევაში ემხრობა გერმანელ მეცნიერთა უმცირესობის იმ პოზიციას, რომლის მიხედვით, ქმედების სუბიექტური შემადგენლობა არსებობს ასევე თვითიმედოვნების დროსაც. ამასთან დაკავშირებით ავტორი მიუთითებს: „თვითიმედოვნების დროს ქმედების სუბიექტური შემადგენლობის შინაარსს განსაზღვრავს პირის მიერ ქმედების ობიექტური შემადგენლობის გარემოებების ცოდნა, რომლებიც მის ქმედებას

¹⁷ იქვე

ობიექტურად წინდახედულობის ნორმის საწინააღმდეგოდ აქცევს.“ გამომდინარე აქედან, ობიექტური გაუფრთხილებლობა მოწმდება ქმედების ობიექტურ შემადგენლობაში, სუბიექტური გაუფრთხილებლობა (თვითიმედოვნების დროს) – ქმედების სუბიექტურ შემადგენლობაში, ხოლო ინდივიდუალური გაუფრთხილებლობა – ბრალის ეტაპზე.

მ. ტურავასგან განსხვავებით, ო. გამყრელიძე ქმედების შემადგენლობის სუბიექტურ ელემენტად მხოლოდ განზრახვას მიიჩნევს, გაუფრთხილებლობას კი ბრალში განიხილავს. „განზრახვა, როგორც ქმედების შემადგენლობის სუბიექტური მხარე..., ყოველგვარი შეფასებისაგან თავისუფალი უნდა იყოს“, – აღნიშნავს ავტორი. იგი, ისევე როგორც მ. ტურავა, განზრახვის ორ კომპონენტს – ცოდნასა და ნებელობას – ქმედების სუბიექტური შემადგენლობის კომპონენტებად აღიარებს, ხოლო მართლწინააღმდეგობის შეგნებას ბრალის დამოუკიდებელ ერთ-ერთ ნიშნად აცხადებს. ამის შესახებ ო. გამყრელიძე მიუთითებს: „შეცნობილი ჰქონდა თუ არა მოქმედს მისი ქმედების მართლწინააღმდეგობის ხასიათი, ეს ბრალზე მსჯელობის დროს უნდა გაირკვეს, როცა ჩადენილი უმართლობა ფასდება და ბრალი დგინდება¹⁸“. ასე რომ, ო. გამყრელიძე, მ. ტურავას მსგავსად, საქართველოს სსკ-ის მე-9 მუხლის ანალოგიურ ინტერპრეტაციას აკეთებს და განზრახვა ბრალის ცნებიდან ქმედების შემადგენლობის ეტაპზე გადააქვს. რაც შეეხება გაუფრთხილებლობას, მეცნიერი ამის შესახებ აღნიშნავს, რომ გაუფრთხილებლობა თავის თავად უკვე გაკიცხვია, რაღაცის უარყოფითი შეფასებაა. შესაბამისად, ამ ცნების ადგილი უკვე ბრალშია. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ ო. გამყრელიძე თ. წერეთლის იმ პოზიციას

¹⁸ო. გამყრელიძე გამყრელიძე, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის. თბ 1998, გვ.274.

ავითარებს, რომლის მიხედვით გაუფრთხილებლობა მარტო შეფასებაა და მისი ადგილი ყოველთვის ბრალში უნდა იყოს¹⁹.

განზრახვის მეორე სახეა არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვა. კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას. არაპირდაპირი განზრახვის დროს კაცს არ სურს მართლწინააღმდეგო შედეგის განხორციელება, იგი მხოლოდ შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება მართლწინააღმდეგო შედეგის დადგომას. არაპირდაპირ განზრახვის პრობლემის გარშემო ქართველ მეცნიერებს შორის ერთიანი შეხედულება არ არსებობს. ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 60- იან წლებში ვ. მაყაშვილი ევენტუალური განზრახვის დროს „ნებელობის“ მნიშვნელობაზე ამახვილებდა ყურადღებას. მეცნიერის შეხედულებით, ევენტუალური განზრახვის შინაარსი არ ამოიწურება მხოლოდ ინტელექტუალური პროცესებით და საჭიროა, ასევე, „სუბიექტის ნების“ არსებობაც ქმედებისა და შედეგისადმი, რის გამოც არაპირდაპირი განზრახვის არსი სწორედ რომ ნების „მანკიერ წარმართვაში“ უნდა გამოიხატოს. ასეთი ნება კი, ავტორის აზრით, იმსახურებს გაკიცხვას. იგი სრულიად სამართლიანად მიუთითებს, რომ პირდაპირი განზრახვისგან ევენტუალური განზრახვა ნების არარსებობით კი არ განსხვავდება, არამედ მხოლოდ იმით, რომ „ევენტუალური განზრახვით მოქმედი პირი არ მისწრაფვის ასეთი საზოგადოებრივად საშიში შედეგისაკენ“, მას „ამ შედეგის მიმართ რაიმე ემოციური განცდები არა აქვს“, მისი განხორციელება

¹⁹ლ. მაღლაკელიძე განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) (დისერტაცია) თბ. 2012, გვ.157

„არავითარ სიამოვნებას არ გვრის“²⁰ ვ. მაცაშვილის განმარტებით, ევენტუალური განზრახვის დეფინიციამ უნდა განსაზღვროს მხოლოდ ძირითადი გემი, რომელსაც უნდა გაჰყვეს სასამართლო პრაქტიკა და სისხლის სამართლის მეცნიერება²¹.

მსგავს პოზიციას ავითარებს მ. ტურავაც. ავტორი ცალსახად აღნიშნავს, რომ პირდაპირი განზრახვისგან განსხვავებით, არაპირდაპირი განზრახვა როგორც ცოდნის, ასევე ნებელობის დაბალი ხარისხით ხასიათდება²². მისი აზრით, „ევენტუალური განზრახვისა და თვითიმედოვნების დეფინიციებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ასეთი გამიჯვნისთვის აუცილებელია ნებელობით მომენტზე დაყრდნობა“²³. შესაბამისად, არ არის გასაზიარებელი თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ თითქოს ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში, გერმანულისაგან განსხვავებით, განზრახვას ვერ განვმარტავთ როგორც ქმედების განხორციელების ცოდნასა და სურვილს, რადგან ევენტუალური განზრახვის საკანონმდებლო დეფინიცია შედეგის დადგომის სურვილის არქონაზე ამახვილებს ყურადღებას. გარდა ამისა, მხარდაჭერას არ იმსახურებს მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქოს ევენტუალურ განზრახვაში სუსტი სურვილის არსებობის დასადასტურებლად ნებელობის დოგმატიკური ფიგურის შემოტანა აღნიშნულ პრობლემას ვერ გადაჭრის²⁴.

ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ, სრულიად მართებულად მიუთითებს მ. ტურავა, რომ „ნებელობის დოგმატიკური ფიგურის შემოტანით სუსტი სურვილის არსებობაზე მითითება არის ერთადერთი გზა ევენტუალური განზრახვის შინაარსის გასარკვევად, წინააღმდეგ შემთხვევაში, განზრახვის ამ

²⁰ ლ. მალლაკელიძე განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) (დისერტაცია) თბ. 2012, გვ. 166

²¹ იქვე

²² ტურავა (2010), გვ. 129; ტურავა (2011), გვ. 271, 285-286

²³ იქვე

²⁴ ლ. მალლაკელიძე განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) (დისერტაცია) თბ. 2012, გვ. 169

ფორმას ხელიდან გამოეცლება ვოლუნტარიული ელემენტი, რომელიც განზრახვის ყველა ფორმისთვის აუცილებელი კომპონენტია“. ავტორის აზრით, „ასეთი დოგმატიკური ფიგურის არსებობას ხელს ვერ შეუშლის ევენტუალური განზრახვის ქართულ საკანონმდებლო დეფინიციაში (სსკ-ის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილი) შედეგის დადგომის სურვილის არქონის თაობაზე მითითება. სამაგიეროდ კანონმდებელი იქვე უთითებს შედეგის დადგომის შესაძლებლობის შეგნებულად დაშვებაზე ან შედეგის დადგომისადმი გულგრილ დამოკიდებულებაზე“²⁵.

მ. ტურავას აღნიშნული შეხედულების საპირისპიროდ ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ერთი მხრივ, ეწინააღმდეგება განზრახვაში ნებელობითი მომენტის არსებობას, თუმცა, მეორე მხრივ, ამ ცნებაში შედეგისადმი „გულგრილ დამოკიდებულებაზე“ საუბრობს. კერძოდ, ავტორი აცხადებს, რომ: „ევენტუალური განზრახვის დროს ნებელობითი ელემენტი მოიცავს შედეგის დადგომის სურვილის არქონას, მის შეგნებულად დაშვებას ან მისდამი გულგრილ დამოკიდებულებას“²⁶.

შედეგისადმი გულგრილი დამოკიდებულება წარმოადგენს ევენტუალური განზრახვის ნებელობითი მომენტს. თუკი ევენტუალური განზრახვისას ნებელობის მომენტი არ არსებობს, მაშინ რატომ უთითებს კანონმდებელი ამ ცნების საკანონმდებლო დეფინიციაში „გულგრილ დამოკიდებულებაზე“? პასუხი აღნიშნულ კითხვაზე ცალსახაა. არაპირდაპირ განზრახვაში შედეგისადმი „გულგრილი დამოკიდებულება“ სხვა არაფერია, თუ არა მასში ნებელობითი მომენტის აღიარება. თუმცა, ნებელობა ასეთ შემთხვევაში ნორმატიულად უნდა იქნეს გაგებული.

არაპირდაპირი განზრახვა ახასიათებს მხოლოდ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლებში აღწერილ შედეგიან, მატერიალური შემადგენლობის

²⁵ ლ. მალლაკელიძე განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) (დისერტაცია) თბ. 2012, გვ. 169

²⁶ : მჭედლიშვილი-ჰედრიხი (2010), გვ. 92; მჭედლიშვილი-ჰედრიხი (2011), გვ. 70-84

მქონე ქმედებებს. მაგალითად, კაცმა დანა ჩაარტყა დაზარალებულს იმ იმედით, რომ არ მოკვდებოდა, მაგრამ ეს უკანასკნელი სისხლად დაიცალა და დაიღუპა. კანონი არ ითვალისწინებს განსხვავებულ სასჯელს პირდაპირი თუ არაპირდაპირი განზრახვით მოქმედი სუბიექტისათვის, მაგრამ განზრახვის ამ ორი სახის გამიჯვნას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ზოგჯერ ქმედების შეფასება სხვადასხვაგვარია იმისდა მიხედვით, პირდაპირი განზრახვით მოქმედებდა სუბიექტი და არაპირდაპირი განზრახვით. ზოგიერთი ქმედება შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ან თვით დანაშაულის ბუნებიდან გამომდინარე, ან იმიტომ, რომ ასეთია მისი აღწერა კოდექსში. მაგალითად, თუ კანონი მიუთითებს მოქმედების მიზანზე, ასეთი დანაშაული მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შეიძლება იქნეს ჩადენილი. ყაჩაღობა მიუთითებს სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლების მიზანზე. არაპირდაპირი

განზრახვით მოქმედი სუბიექტი შეიძლება სხვადასხვა მიზნებს ისახავდეს. მიზანი, რომლითაც სუბიექტი მოქმედებს შეიძლება მართლზომიერიც იყოს. მაგალითად, მუშა სახლის დაშლისას ქუჩაში ისვრის აგურებს ყოველგვარი გამატრთხილებელი წესების უგულებელყოფით, თანაც ითვალისწინებს, რომ ამით გამვლელი დააზიანოს. თუ ასეთი მოქმედებით ვინმეს ზიანი მიადგება, მუშა პასუხს აგებს არაპირდაპირი განზრახვით გამოწვეული ჯანმრთელობის დაზიანებისათვის.

მიზანი, რომლისკენაც მიისწრაფის ევენტუალური განზრახვით მოქმედი სუბიექტი, შეიძლება დანაშაულებრივ ხასიათს ატარებდეს. ასეთ შემთხვევაში გვექნება ორი სახის განზრახვის კომბინაცია: პირდაპირი განზრახვა იმ ძირითადი მართლსაწინააღმდეგო შედეგის მიმართ, რომლის განხორციელებაც სურს ობიექტს და არაპირდაპირი განზრახვისა იმ თანამდევი შედეგის მიმართ, რომლის განხორციელებასაც სუბიექტი შეგნებულად უშვებდა. მაგალითად, ხალხმრავალ ადგილზე სუბიექტი ესვრის იარაღს მსხვერპლს, თანაც ითვალისწინებს, რომ შეიძლება სხვებსაც

მოახვედროს და შეგნებულად უშვებს ამას. თუ ასეთი შედეგი მართლაც განხორციელდა და გარეშე პირთაგან ვინმე მოკვდა, ეს თანამდევნი შედეგი ჩადენილი იქნება პირდაპირი განზრახვით; არაპირდაპირი განზრახვა მაშინაც გვაქვს სახეზე, როდესაც სუბიექტს აშკარად არ სურს თანამდევნი მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა. ეს შეიძლება იმით იყოს გამოწვეული, რომ სუბიექტს ეშინოდეს პასუხისმგებლობისა. მაგალითად, ექიმი გასამრჯელოს აღების საფასურად უკეთებს უკანონო აბორტს ქალს, რომლისთვისაც აბორტის გაკეთება არ შეიძლება. ექიმს კარგად ესმის აბორტის შედეგად ქალის სიკვდილის შესაძლებლობა და, რა თქმა უნდა არ სურს ასეთი შედეგი, ვინაიდან იცის, რომ თუ ქალი მოკვდა, პასუხისმგებლობა მისცემენ.

უკვე ითქვა, რომ პირდაპირი განზრახვა ნიშნავს სუბიექტზე დაკისრებული პოზიტიური პასუხისმგებლობის შეგნებულ უარყოფას, ზოგჯერ თავხედურადაც (მაგალითად, ხულიგნური მოქმედების შემთხვევაში), ხოლო, ევენტუალური განზრახვის დროს სუბიექტი პასუხისმგებლობას კი არ უარყოფს, როგორც ეს პირდაპირი განზრახვის დროს ხდება, არამედ თავისი გულგრილობით ჩქმალავს, აჩუმათებს მას, თუმცა აქაც ააშკარაა, რომ სუბიექტი მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას ეკიდება უპასუხისმგებლოდ, ესე იგი, ბრალეულად, თუმცა ნაკლები ხარისხით, ვიდრე ეს პირდაპირი განზრახვით ვლინდება. ამრიგად, ტერმინი “გულგრილი” მხოლოდ ფსიქიკურის სფეროში კი არ ვლინდება, არამედ იგი, უპირველეს ყოვლისა, გარესინამდვილისადმი ადამიანის დამოკიდებულებას გამოხატავს და შედეგ სათანადო გამოძახილს სუბიექტის ფსიქიკაშიც ჰპოვებს, და არა პირიქით. ეს დასტურდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლითაც, რომელშიც “გულგრილობა” დაუდევრობის სინონიმია, როცა მოხელე ან მასთან განაბრებული პირი თავის სამსახურებრივ მოვლევას ეკიდება გულგრილად, ესე იგი, უპასუხისმგებლოდ, ოღონდ უფრო დაბალი ხარისხით, ვიდრე ეს თვითიმედოვნების დროს უგულისხმება,

როცა სიბიექტი მასზე დაკისრებულ პოზიტიურ პასუხისმგებლობას ეკიდება ქარაფშუტულად, ზედაპირულად, რის გამოც მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას კი ითვალისწინებს, მაგრამ არ ითვალისწინებს ამ შედეგის დადგომის გარდუვალობას. მაშასადამე, სიბიექტის ბრალია, რომ იგი მოცემულ შემთხვევაში მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის გარდუვალობას არ ითვალისწინებს, რადგან, თუ აიგი მასზე დაკისრებულ მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას მოეკიდებოდა პასუხისმგებლურად, მაშინ იგი ამ შედეგის დადგომის გარდუვალობას გაითვალისწინებდა და, მაშასადამე, ამ ქმედებას არ ჩაიდენდა. ბოლოს, ხომ არ უნდა ვითქვითოთ, რომ გულგრილობის გარკვეულ ხარისხს არც პირდაპირი განზრახვაა მოკლებული? მართლაც, თუ სუბიექტს სურს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა, მაშინ ამ ასპექტით გულგრილობისთვის ადგილი აღარ რჩება. მაგრამ პირდაპირი განზრახვა შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, როცა სუბიექტს ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის გარდუვალობას, თუმცა მას ამ შედეგის დადგომა არ სურს. ამ ასპექტით შეიძლება სუბიექტმა მართლსაწინააღმდეგო შედეგის გარდუვალობას თავისებური გამართლება მოუძებნოს და ამით გულრილად მოეკიდოს ამ შედეგის დადგომას. ცხადია, გულგრილობის ხარისხი პირდაპირი განზრახვის დროს უფრო ნაკლებია, ვიდრე ევენტუალური განზრახვის დროს. როგორც უკვე ითქვა, მთავარი მაინც პასუხისმგებლობის პრობლემაა, რომელიც ბრალის პრობლემის ბუნებრივი მეკავშირეა. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ არაპირდაპირი, ანუ, ევენტუალური განზრახვის წმინდა ფსიქოლოგიური დასაბუთება შეუძლებელია, ისევე, როგორც შეუძლებელია გაუფრთხილებლობის წმინდა ფსიქოლოგიური დასაბუთება. აქედან, თავის მხრივ, გამომდინარეობს, დასკვნა, რომ ბრალის ფორმების წმინდა ფსიქოლოგიური ანალოგი არ

არსებობს. ამ პრობლემას კი, შემდგომი კვლევა სჭირდება.²⁷

დაბოლოს, ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას. არაპირდაპირი განზრახვის დროს კაცს არ სურს მართლწინააღმდეგო შედეგის განხორციელება, იგი მხოლოდ შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება მართლწინააღმდეგო შედეგის დადგომას.

არაპირდაპირი განზრახვა ახასიათებს მხოლოდ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლებში აღწერილ შედეგიან, მატერიალური შემადგენლობის მქონე ქმედებებს. მაგალითად, კაცმა დანა ჩაარტყა დაზარალებულს იმ იმედით, რომ არ მოკვდებოდა, მაგრამ ეს უკანასკნელი სისხლად დაიკალა და დაიღუპა. კანონი არ ითვალისწინებს განსხვავებულ სასჯელს პირდაპირი თუ არაპირდაპირი განზრახვით მოქმედი სუბიექტისათვის, მაგრამ განზრახვის ამ ორი სახის გამიჯვნას დიდი მნიშვნელობა აქვს, რად-გან ზოგჯერ ქმედების შეტასება სხვადასხვაგვარია იმისდა მიხედ-ვით, პირდაპირი განზრახვით მოქმედებდა სუბიექტი და არაპირდაპირი განზრახვით. ზოგიერთი ქმედება შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ან თვით დანაშაულის ბუნებიდან გამომდინარე, ან იმიტომ, რომ ასეთია მისი აღწერა კოდექსში. მაგალითად, თუ კანონი მიუთითებს მოქმედების მიზანზე, ასეთი დანაშაული მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შეიძლება იქნეს ჩადენილი. არაპირდაპირი განზრახვით მოქმედი სუბიექტი შეიძლება სხვა-დასხვა მიზნებს ისახავდეს. მიზანი, რომლითაც სუბიექტი მოქმედებს შეიძლება მართლზომიერიც იყოს. მაგალითად, მუშა სახლის დაშლისას ქუჩაში ისვრის

²⁷ ბრალისა და მისი ფორმების ერთიანობის პრობლემა სასამართლოში (გულგრილობის ცნება ბრალის ფორმების პრობლემატიკაში) გურამ ნაჭყებია/ N2, 2015 სამართალი და მსოფლიო გვ.29-31

აგურებს ყოველგვარი გამაფრთხილებელი წესების უგულებელყოფით, თანაც ითვალისწინებს, რომ ამით გამვლელი დააზიანოს. თუ ასეთი მოქმედებით ვინმეს ზიანი მიაღებება, მუშა პასუხს აგებს არაპირდაპირი განზრახვით გამოწვეული ჯანმრთელობის დაზიანებისათვის. მიზანი, რომლისკენაც მიისწრაფის ევენტუალური განზრახვით მოქმედი სუბიექტი, შეიძლება დანაშაულებრივ ხასიათს ატარებდეს. ასეთ შემთხვევაში გვეყენება ორი სახის განზრახვის კომბინაცია: პირ-დაპირი განზრახვა იმ ძირითადი მართლსაწინააღმდეგო შედეგის მი-მართ, რომლის განხორციელებაც სურს ობიექტს და არაპირდაპირი განზრახვისა იმ თანამდევი შედეგის მიმართ, რომლის განხორციელებასაც სუბიექტი შეგნებულად უშვებდა. მაგალითად, ხალხმრავალ ადგილზე სუბიექტი ესვრის იარაღს მსხვერპლს, თანაც ითვალისწინებს, რომ შეიძლება სხვებსაც მოახვედროს და შეგნებულად უშვებს ამას. თუ ასეთი შედეგი მართლაც განხორციელდა და გარეშე პირთაგან ვინმე მოკვდა, ეს თანამდევი შედეგი ჩადენილი იქნება პირდაპირი განზრახვით; არაპირდაპირი განზრახვა მაშინაც გვაქვს სახეზე, როდესაც სუბიექტს აშკარად არ სურს თანამდევი მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა. ეს შეიძლება იმით იყოს გამოწვეული, რომ სუბიექტს ეშინოდეს პასუხისმგებლობისა. მაგალითად, ექიმი გასამრჯელოს ალების საფასურად უკეთებს უკანონო აბორტს ქალს, რომლისთვისაც აბორტის გაკეთება არ შეიძლება. ექიმს კარგად ესმის აბორტის შედეგად ქალის სიკვდილის შესაძლებლობა და, რა თქმა უნდა არ სურს ასეთი შედეგი, ვინაიდან იცის, რომ თუ ქალი მოკვდა, პასუხისგებაში მისცემენ. სისხლის სამართლის თეორიაში განასხვავებენ განზრახვის სხვა სახეებსაც: განსაზღვრულს ანუ კონკრეტიზებულს, განუსაზღვრელს ანუ არაკონკრეტიზებულს, წინასწარ მოფიქრებულს, უეც-რად წარმოშობილს და ალტერნატიულს.

ა) განსაზღვრული განზრახვის დროს პირს სურს ან შეგნებულად უშვებს მართლსაწინააღმდეგო შედეგს, რომელსაც ნათლად და მკაფიოდ

ითვალისწინებს. მაგალითად, პირი უმიზნებს რეგოლვერს მსხვერპლს და ზუსტად ითვალისწინებს, რომ მის მოქმედებას შედეგად მოჰყვება სიკვდილი.

ბ) განუსაზღვრელი განზრახვის შემთხვევაში მართლსაწინააღმდეგო შედეგი პირის შეგნებაში არ არის კონკრეტიზებული, სუბიექტი ზუსტად არ ითვალისწინებს მის ხასიათს და სიმძიმეს. ასეთი განზრახვა ხშირად გვხვდება ჯანმრთელობის დაზიანების დროს, როდესაც სუბიექტს ზუსტად არ აქვს წარმოდგენილი, თუ რა ხასიათის დაზიანებას მიაყენებს იგი დაზარალებულს – მძიმეს, ნაკლებად მძიმეს თუ მსუბუქს.

გ) ალტერნატიული განზრახვის დროს სუბიექტს შეიძლება წარმოდგენილი ჰქონდეს ერთ-ერთი ზუსტად განსაზღვრული შედეგის განხორციელება. მაგალითად, პირი შურისძიების მიზნით ხრამში გადააგდებს თავის მტერს, თანაც მკაფიოდ ითვალისწინებს, რომ ეს უკანასკნელი ან მოკვდება ან ჯანმრთელობის დაზიანებას მიიღებს.

დ) წინასწარ მოფიქრებული განზრახვა არსებობს მაშინ, როცა სუბიექტი მეტი ან ნაკლები დროის განმავლობაში ფიქრობდა დანაშაულის განხორციელების შესახებ, წინასწარ ამუშავებდა დანაშაულის ჩადენის გეგმას.

ე) უეცრად აღძრული განზრახვა გულისხმობს, რომ პირს განზრახვის წარმოშობისთანავე მოჰყავს იგი სისრულეში. მაგალითად, შეურაცხყოფილ სუბიექტს უეცრად წარმოეშობა შეურაცხმყოფელის მოკვლის განზრახვა, რომელიც დაუყოვნებლივ გადადის მოქმედებაში²⁸.

²⁸ მალხაზ ლომსაძე, საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (მეორე შევესებული და გადაამუშავებული გამოცემა) თბილისი 2014 გვ.40-41

თავი 2. არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვით ჩადენილი მკვლევლობა

2.1. ევენტუალური განზრახვის რაობა

სისხლის სამართლის მეცნიერებაში კამათის საგანს წარმოადგენს საკითხი იმის თაობაზე, ევენტუალური განზრახვის დროს არსებობს თუ არა ვოლუნტატური ელემენტი და დამნაშავე ეთანხმება (billigen) თუ არა შედეგის დადგომას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, „ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას.“²⁹

მოცემული დეფინიციის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევენტუალური განზრახვა ორი ელემენტისაგან შედგება: კოგნიტური (ინტელექტუალური) და ვოლუნტატური (ნებელობითი) ელემენტი. ინტელექტუალური ელემენტის მიხედვით, დამნაშავე ქმედების მართლწინააღმდეგობას

²⁹ თემურ ცქციტიშვილი, ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის უ. მართლმსაჯულება და კანონი N4(43) 2014, გვ.96

აცნობიერებს, ხოლო ნებელობითი (ვოლუნტატური) ელემენტის თანახმად, დამნაშავეს არ სურს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა, თუმცა, შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება მის დადგომას. მაშასადამე, არაპირდაპირი განზრახვისათვის დამახასიათებელია დანაშაულებრივი შედეგის დადგომის ნების, ანუ სურვილის არარსებობა. პირდაპირი განზრახვისდროს, არაპირდაპირი განზრახვისაგან განსხვავებით, დამნაშავეს სურს შედეგის დადგომა ან ითვალისწინებს ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას. მაშასადამე, პირდაპირ და არაპირდაპირ განზრახვას შორის განსხვავება უმთავრესად, ვოლუნტატურ ელემენტშია. თუმცა, იმის თქმაც შეუძლებელია, რომ კოგნიტურ ელემენტში მათ შორის სხვაობა არ არსებობს, ვინაიდან დამნაშავის წარმოდგენით არაპირდაპირი განზრახვის დროს არსებობს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობა. ხოლო, პირდაპირი განზრახვის დროს, დამნაშავეს შეიძლება გაცნობიერებული ჰქონდეს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის არა მხოლოდ შესაძლებლობა, არამედ გარდაუვალობაც.

მითითებულია, რომ დანაშაულის შესახებ არსებული მოძღვრებებიდან (კლასიკური, ნეოკლასიკური და თინალური) ვიზიარებთ თინალური „სკოლის“ წარმომადგენლთა იმ შეხედულებას, რომლის მიხედვით განზრახვა ქმედების სუბიექტურ შემადგენლობას ეკუთვნის. ამ თვალსაზრისის იზიარებს ასევე ქართული სასამართლო პრაქტიკაც. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „...პირველი ინსტაციის სასამართლოს განაჩენში მსჯელობა ზ.-ს მიერ ჩადენილი ქმედების სუბიექტური მხარის თაობაზე ბუნდოვანი და გაურკვეველია, საიდანაც ძნელია გამოიტანო დასკვნა: ზ.-მ ქმედება ჩაიდინა პირდაპირი, თუ ევენტუალური განზრახვით“³⁰. მაშასადამე, ქართულ სასამართლო პრაქტიკაში განზრახვა აღიარებულია როგორც ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ნაწილი.

³⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2009, გვ. 27-30.

ქართულ ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში განზრახვა განმარტებულია, როგორც „გადანწყვეტილების შედეგად ადამიანში აღმოცენებული მზაობა, რომელშიც უკვე წინასწარ არის განსაზღვრული მეტ-ნაკლები სიცხადით, თუ სად რა უნდა გაკეთდეს.³¹“ მაშასადამე, განზრახვა ასეთ შემთხვევაში წარმოდგენილია წმინდა ფსიქოლოგიური გაგებით და მის დასასაბუთებლად ძირითადი აქცენტი განზრახვის ინტელექტუალურ მომენტებზე კეთდება.³²

თუ რამდენად მისაღებია განზრახვის ამგვარი განმარტება სისხლის სამართლის მეცნიერებაში, ეს ცალკე მსჯელობის საგანია, რადგან არაპირდაპირი განზრახვა, როგორც „არაპირდაპირი გადანწყვეტილება“, შეუძლებელია ფსიქოლოგიურად არსებობდეს. უფრო კონკრეტულად რომ ითქვას, თუკი არაპირდაპირი განზრახვა სიტყვასიტყვით განიმარტება, შესაძლოა, ერთი შეხედვით, არაზუსტიც აღმოჩნდეს. ქმედების შემადგენლობის განზრახვის ნებისმიერი სახე, იქნება ეს პირდაპირი თუ არაპირდაპირი, უპირობოდ უნდა აკმაყოფილებდეს ქმედებისადმი პირის მხრიდან ნებელობის არსებობის მოთხოვნას. არაპირდაპირი ნებელობა კი, როგორც პირის შინაგანი გადანწყვეტილების მიუღებლობის გამოხატულება, განზრახვით ჩადენილ დანაშაულს არ ქმნის. არანებელობითი განზრახვა სისხლის სამართალს არ აინტერესებს და, შესაბამისად, არც პასუხისმგებლობას აწესებს. მართებულად მიუთითებს ბ. ხარაზიშვილი, როცა არაპირდაპირი განზრახვის ფსიქოლოგიურ დასაბუთებას გაუმართლებლად მიიჩნევს. მსგავს მოსაზრებას იზიარებს ასევე, გ. ნაჭყებიაც, იგი აღნიშნავს: „...თუ იქიდან ამოვალთ, რომ განზრახვა წმინდა ფსიქოლოგიურად გადანწყვეტილების სინონიმია, მაშინ აშკარაა, რომ „ევენტუალური გადანწყვეტილება“ როგორც ევენტუალური განზრახვის გამოხატულება, ფსიქოლოგიურად მართლაც შეუძლებელია, რადგან გადანწყვეტილება

³¹ ყვავილაშვილი ლ., განწყობა და ნებისმიერი ქცევა, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, ჟურნალში: „მაცნე“, 1992. გვ. 43

³² იქვე

ფსიქოლოგიურად ყოველთვის მიიღება პირდაპირ და არა ევენტუალურად, არაპირდაპირ.³³“

სსკ-ის მე-9 მუხლის მეორე ნაწილში ვკითხულობთ: ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, „...თუ პირი ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი...“ მაშასადამე, არაპირდაპირი განზრახვის მთლიანად ფსიქოლოგიური ელემენტისგან მოწყვეტით გაგება სწორი არ იქნებოდა.

მსგავს პოზიციას იზიარებს გ. ნაჭყებიაც, რომელიც თვლის, რომ „განზრახვის დასაბუთებაში დაძლეულია ფსიქოლოგიზმი, როცა განზრახვა ესმით წმინდა ფსიქოლოგიურად, მოტივისა და მიზნის განხორციელების შესაბამისი ხერხებისა და მათი შეფასებების გარეშე; ასევე დაძლეულია ნორმატივიზმიც, როცა განზრახვა გაგებულია როგორც წმინდა ნორმატიულად, განზრახვის ფსიქოლოგიური შინაარსისგან მოწყვეტით“. თუმცა, ავტორის ამგვარი შეხედულება გაზიარებული არ უნდა იქნეს იმ ნაწილში, სადაც იგი მიუთითებს, რომ, რადგან არაპირდაპირი განზრახვა ნორმატიულ ნიშანსაც შეიცავს, ამიტომ თითქოსდა მისი ადგილი ყოველთვის ბრალში უნდა იყოს³⁴.

გ. ნაჭყებია ამ შემთხვევაში ქმედების სუბიექტურ შემადგენლობაში ნებისმიერი შეფასებითი ნიშნის შეტანას კატეგორიულად ეწინააღმდეგება და ქმედების შემადგენლობას წმინდა ფსიქოლოგიურად განმარტავს. ამის შესახებ იგი წერს: „ქმედების შემადგენლობის სუბიექტური მხარის სტრუქტურაში შედის სუბიექტის ქცევის მოტივი და მიზანი..“, ხოლო განზრახვა, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი, ბრალს ეკუთვნის³⁵. რაც შეეხება თავად მოტივსა და მიზანს, ავტორის აზრით, მოტივი და მიზანი ფსიქოლოგიური ცნებებია. იგი მიაჩნებს: „მოტივი და მიზანი, როგორც

³³ ნაჭყებია გ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011 გვ. 383

³⁴ ნაჭყებია გ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011. გვ. 383

³⁵ იხ. ნაჭყებია (2001), გვ. 285.

ადამიანის ქცევის ფსიქოლოგიური მხარის ორი არსებითი ელემენტი, დანაშაულებრივი ქმედების ფსიქიკურ საზრისს გამოხატავენ და ამიტომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის საქმეში ერთ-ერთ არსებით კრიტერიუმს წარმოადგენენ“.

მაშასადამე, არაპირდაპირი განზრახვა, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გაგებულია არა როგორც წმინდა ფსიქოლოგიური, არამედ ასევე, როგორც ნორმატიული კატეგორიაც, რაც სწორია. თუმცა, დანაშაულის სისტემაში მის ადგილთან დაკავშირებით, გაზიარებულ არ უნდა იქნეს არც ბრალის ფსიქოლოგიური და არც ბრალის ნორმატიულ-ფსიქოლოგიური თეორიის ქართველ მომხრეთა შეხედულებები. ასეთ შემთხვევაში მართებულად უნდა ჩაითვალოს ბრალის ნორმატიული თეორიის მიმდევართა მოსაზრებები იმ ნაწილში, სადაც არაპირდაპირი განზრახვის ცოდნა და ნებელობა, ისევე როგორც პირდაპირი განზრახვის ეს ნიშნები, ქმედების შემადგენლობის ეტაპზეა წარმოდგენილი და ნებელობა ნორმატიულად არის გაგებული.³⁶

თუმცა, ამ მსჯელობიდან გამომდინარე, საკითხავია, თუ რაში გამოიხატება არაპირდაპირი განზრახვის ნორმატიული ბუნება და რას გულისხმობს მისი ამგვარი ხასიათი. აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გასაცემად მიზანშეწონილია, პრობლემის განხილვა პირდაპირი განზრახვის ცნების გარკვევით დაიწყოს. შეუძლებელია, ევენტუალური განზრახვის ნებელობით მომენტზე ისაუბრო, თუკი ჯერ პირდაპირი განზრახვის ვოლუნტატიური ელემენტი არ იქნება სათანადოდ გაანალიზებული.

რაც შეეხება ლ. მალლაკელიძის თანახმად ქმედება მართლაც არ შეიძლება შევაფასოთ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის მცდელობად, მაგრამ არა მხოლოდ იმიტომ, რომ მოქმედ პირს სამართლებრივი სიკეთის

³⁶ ლ. მალლაკელიძე, განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) თბ. 2012 164

ხელყოფის გადაწყვეტილება მიღებული არ ჰქონდა (სუბიექტური მხარე), არამედ იმიტომაც, რომ ქმედებას ჯერ კიდევ, არ ჰქონდა ისეთი საფრთხე შექმნილი (ობიექტური მხარე), რომელიც მცდელობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელი წინაპირობაა. შესაძლებლობის თეორიის ნაკლი ის არის, რომ იგი არ იძლევა იმის საშუალებას, პირდაპირ და არაპირდაპირ განზრახვას შორის ზღვარი გაივლოს. ამ თეორიის მიხედვით, განზრახვის არსებობა ქმედების შემადგენლობის განხორციელების შესაძლებლობის გაცნობიერებაზეა დამოკიდებული, მაგრამ დამნაშავეს ქმედების შემადგენლობის განხორციელების შესაძლებლობა მაშინაც აქვს გაცნობიერებული, როცა პირდაპირი განზრახვით მოქმედებს, და მაშინაც, როცა ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა განხორციელებული. უფრო მეტიც, დამნაშავე საზიანო შედეგის დადგომის შესაძლებლობას მართალია, არა კონკრეტულად, მაგრამ აბსტრაქტულად, თვითიმედოვნების დროსაც აცნობიერებს, რომელსაც გერმანულ ლიტერატურაში „შეგნებულ გაუფრთხილებლობასაც“ („bewusste Fahrlässigkeit“) უწოდებენ. დაინახა რა, განსახილველი თეორიის ზოგიერთმა წარმომადგენელმა იმის საშიშროება, რომ მათი კონცეფციის მიხედვით, არა მხოლოდ პირდაპირ და არაპირდაპირ განზრახვას, არამედ განზრახვას და გაუფრთხილებლობას (თვითიმედოვნება) შორისაც შეიძლება ზღვარი ნაშლილიყო, უარყო „შეგნებული გაუფრთხილებლობის“ ფიგურა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გაუფრთხილებლობა არასდროს არ შეიძლება „შეგნებული“ იყოს.

როგორც ჩანს, ლ. მალლაკელიძეც გრძნობს ამ საფრთხეს და აღნიშნავს, რომ თუ ევენტუალური განზრახვის არსებობის დადგენისათვის საკმარის პირობად სამართლებრივი სიკეთის ხელყოფაზე გადაწყვეტილების მიღებას მივიჩნევდით, გამორიცხული არ იქნებოდა ევენტუალური განზრახვის აღრევა პირდაპირ განზრახვაში. ამ მსჯელობაში ისიც საინტერესოა, რომ ევენტუალური განზრახვის დროს, ავტორის შეხედულებით, დამნაშავეს გადაწყვეტილება მიღებული აქვს დანაშაულის

ჩაღენასთან დაკავშირებით, მაგრამ აღნიშნული საკითხი საკამათოა, რაზეც უფრო ვრცლად ქვემოთ იქნება მსჯელობა.³⁷

თვითიმედოვნების და ევენტუალური განზრახვის გამიჯვნასთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, დამნაშავეს შედეგის დადგომის საფრთხე თუ როგორ წარმოედგინა. ევენტუალური განზრახვის დროს დამნაშავეს ჰგონია, რომ მისი ქმედება სამართ- ლებრივი სიკეთის ხელყოფის კონკრეტულ საფრთხეს ქმნის, ხოლო თვითიმედოვნების დროს დამნაშავეს მიერ წარმოდგენილი ქმედების საშიშროება აბსტრაქტულია. სწორად აღნიშნავს გ. კუპერი,³⁸ რომ შესაძლებლობის თეორიის გაზიარება იქამდე მიგვიყვანდა, რომ სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნისას, ყოველთვის უნდა გველიარებინა მკვლელობის მცდელობის განხორციელება.³⁹

ალბათობის თეორიის

(Wahrscheinlichkeitstheorie) მიხედვით, არაპირდაპირი განზრახვით მოქმედი დამნაშავე შედეგის დადგომის ალბათობას უშვებს. შეიძლება დაისვას კითხვა: რა განსხვავებაა შედეგის დადგომის შესაძლებლობას და ალბათობას შორის და რით განსხვავდება ალბათობის თეორია შესაძლებლობის თეორიისაგან? დასმულ კითხვაზე ავტორთა მხრიდან პასუხი შემდეგია: „საალბათო“ („Wahrscheinlich“) უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ შესაძლო.⁴⁰

კორიატი აღნიშნავს, რომ თუ შესაძლებლობის თეორიას გავიზიარებდით, მკვლელად უნდა ჩაგვეთვალა ის, ვინც თავის ცოლს მანქანას ჩუქნის იმ იმედით, რომ ცოლი შეიძლება

³⁷თემურ ცქიტიშვილი, ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის უ. მართლმსაჯულება და კანონი N4(43) 2014 გვ.99

³⁸ იქვე

³⁹ იქვე

⁴⁰თემურ ცქიტიშვილი, ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის უ. მართლმსაჯულება და კანონი N4(43) 2014 გვ.101

ავტოავა- რიაში მოჰყვეს და მოკლან⁴¹. კორიატის კრიტიკა შესაძლებლობის თეორიის მიმართ არ არის სათანადოდ დასაბუთებული. ალბათობის თეორია თითქმის არაფრით განსხვავდება შესაძლებლობის თეორიისაგან, მიუხედავად იმისა, რომ ალბათობას და შესაძლებლობას შორის გარკვეული სხვაობა არსებობს. იმის ალბათობა შეიძლება არსებობდეს, რაც შესაძლებელია, მაგრამ ალბათობა უფრო სუბიექტური შინაარსის მქონეა, მაშინ, როცა შესაძლებლობა ობიექტური ხასიათისაა. რაც შეეხება ალბათობის კვანტიფიკაციის უარყოფას, ესეც მიუღებელი და არაარგუმენტირებული მოსაზრებაა. ალბათობას ხარისხები გააჩნია და შესაძლებელია ალბათობის მეტ ან ნაკლებ ხარისხზე საუბარი. ხოლო, რაც შეეხება კორიატის მიერ მოტანილ მაგალითს, იგი ვერ გამოგვადგება შესაძლებლობის თეორიის უარყოფის მართებულობის დასაბუთებლად და იმის ნათელსაყოფად, თუ რატომ არ უნდა ვცნოთ მოტანილი მაგალითის მიხედვით, ქმარი ცოლის მკვლელად. ქმედება არ სცდება სოციალური ადეკვატურობის ფარგლებს, რაც შედეგის ობიექტური შერაცხვისა და ქმრის მკვლელად შეფასების შესაძლებლობას გამორიცხავს. მანქანის ჩუქება ნებადართული და სოციალურად ადეკვატური ქმედებაა. ალბათობის თეორიის მიხედვით, ასევე მნიშვნელოვანია გარკვევა, თუ დამნაშავე რამდენად უშვებს იმის ალბათობას, რომ შედეგის თავიდან აცილება მისი ბედისწერიდან გამომდინარე, შესაძლებელია და რამდენად ენდობა იგი საკუთარ ბედისწერას. თუ დამნაშავეს აქვს ღრმა ეჭვი შედეგის დადგომაზე, განზრახვა უნდა გამოირიცხოს.⁴² აღნიშნული შეხედულებით, განზრახვის და გაუფრთხილებლობის ზღვარგამყოფი საზიანო შედეგის არდადგომის რწმენა კი არ არის, არამედ ღრმა ეჭვი. თუმცა, შედეგის არდადგომის ღრმა ეჭვი მცირე ხარისხით, მაგრამ მაინც შეიცავს ალბათობას, რომ შედეგი შეიძლება

⁴¹თემურ ცქიტიშვილი, ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის უ. მართლმსაჯულება და კანონი N4(43) 2014 გვ.102

⁴² თემურ ცქიტიშვილი, ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის უ. მართლმსაჯულება და კანონი N4(43) 2014 გვ.102

დადგეს. რაც შეეხება რწმენას, თუ ადამიანი დარწმუნებულია საზიანო შედეგის თავიდან აცილებაში, ეს ნიშნავს, რომ იგი მცირე ხარისხითაც არ უშვებს შედეგის დადგომის ალბათობას. შედეგის თავიდან აცილების რწმენა შედეგის დადგომის ალბათობისათვის ადგილს არ ტოვებს. აქედან გამომდინარე შედეგის დადგომის თუ თავიდან აცილების „ღრმა ეჭვის“ ქონა არ არის მყარი და ნათელი კრიტერიუმი განზრახვისა და გაუფრ- თხილებლობის გასამიჯნად. ქინდჰოიზერის თვალსაზრისით, განზრახვა მაშინ არსებობს, როცა ქმედების განხორციელების წინ დამნაშავე არ გადაიფიქრებს ქმედების განხორციელებას, მიუხედავად იმისა, რომ მან იცის მისი ქმედება სავარაუდოდ ქმედების შემადგენლობის განხორციელებას გამოიწვევს.

შესაძლებლობის

თეორიის ანალოგიურად წყვეტს განზრახვის პრობლემას ვ. ფრიშის მიერ ჩამოყალიბებული რისკის თეორიაც (Risikotheorie), რომლის მიხედვით, განზრახვა უპირატესად არის დამნაშავის გადანწყვეტილება სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ. რისკის თეორიის თანახმად, განზრახვის საყრდენი ნიშანია არა ქმედების ობიექტური შემადგენლობა, არამედ ქმედება, რაც ნიშნავს, რომ შედეგი არ არის განზრახვის საყრდენი მომენტი, განზრახვის საგანი (Vorsatzgegenstand).²⁰ ის ვისაც გაცნობიერებული აქვს მის ქმედებასთან დაკავშირებული, საალ- ბათო და არანებადართული რისკი და, მიუხედავად ამისა, იღებს მოქმედების გადანწყვეტილებას, მოქმედებს ევენტუალური განზრახვით. ფრიშის შეხედულება არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს, რამდენადაც თავად შედეგის გამონვევის საფრთხე ქმედების ნიშანი ვერ იქნება. კონკრეტული საფრთხე იგივე შედეგია და ქმედებისაგან მისი გამიჯვნა შესაძლებელია. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ფრიშის კონცეფციით, განზრახვის არსებობისათვის კონკრეტული და არა აბსტრაქტული საფრთხის არსებობის გაცნობიერებაა აუცილებელი⁴³.

⁴³ თემურ ცქიტიშვილი, ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის უ. მართლმსაჯულება და კანონი N4(43) 2014 გვ.103

როდესაც ვსაუბრობთ საფრთხეზე, მხედველობაში გვაქვს საზიანო შედეგის გამოწვევის საფრთხე. რამდენადაც საფრთხე შედეგის გამოწვევის საფრთხეა, შედეგისადმი ქმედების მიმართებას განზრახვის დასადგენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მართალია, რისკის თეორია, განზრახვის საყრდენ და განმსაზღვრელ ნიშნად არა შედეგს, არამედ ქმედებას მიიჩნევს, მაგრამ ქმედებასთან დაკავშირებული რისკის შეგნების მნიშვნელობის აღიარება გარკვეულწილად განზრახვის დასადგენად მოსალოდნელი შედეგისადმი დამოკიდებულების გათვალისწინებასაც გულისხმობს, თუმცა, აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ კონკრეტული საფრთხე, როგორც გარკვეული შედეგი არ არის იდენტური ისეთი შედეგისა, როგორცაა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა. ჰერცბერგის შეხედულებით, არაპირდაპირი განზრახვით მოქმედებს ის, ვინც არა მხოლოდ არანებადართულ, არამედ ასევე, ისეთ საფრთხეს შექმნის, რომლისგან თავის დაცვა მსხვერპლს არ შეუძლია. მაშასადამე, ევენტუალური განზრახვით მოქმედების დროს ისეთი საფრთხე უნდა შეიქმნას, რომ მსხვერპლს არ შეეძლოს შედეგის თავიდან აცილება. შედეგი დადგება თუ არა, ქმედების შემადგენლობა განხორციელდება თუ არა, ამაში გარკვეული როლი შემთხვევითობამ და ბედისწერამ უნდა შეასრულოს.

გამოდის, რომ წარმოდგენილი კონცეფციით, ევენტუალურ განზრახვად არის გამოცხადებული ის, რაც პირდაპირ განზრახვას წარმოადგენს. თუ დამნაშავეს წარმოდგენით, მსხვერპლს არ შეუძლია საფრთხისაგან თავის დაცვა, ეს ნიშნავს, რომ ხელყოფის თავიდან აცილების შესაძლებლობაც თითქმის გამორიცხულია და არსებობს შედეგის დადგომის, სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის გარდაუვალობა. თუმცა, ეს არ გამორიცხავს იმის, რომ შედეგი მაინც არ დადგეს შემთხვევით გარემოებათა გამო.

დამნაშავეს წარმოდგენით, მსხვერპლის მიერ თავის დაცვის შესაძლებლობის არქონა შედეგის

დადგომის გარდაუვალობის გაცნობიერებას უტოლდება, რაც პირდაპირი განზრახვისთვისაა დამახასიათებელი და არაპირ- დაპირ განზრახვას გამოირიცხავს. ჰერცბერგი აღნიშნავს, რომ განზრახვის და გაუფრთხილებლობის გამიჯვნა ქმედების ობიექტური შემადგენლობის პრობლემა არის. მისი შეხედულებით, განზრახვის არსებობა ქმედების ობიექტური შემადგენლობის ეტაპზე მოითხოვს, რომ დამნაშავემ კვალიფიციური სარისკო ქმედებით განახორციელოს დელიქტისათვის სპეციფიკური უღირსობა (deliktspezifische Unwert). მისი თვალსაზრისით, თუ გაუფრთხილებლობის დროს სამართლებრივად მისატევებელი (rechtlich__tolerierete) ქმედება ხორციელდება, განზრახვის დროს საშიში და არანებადართული (unerlaubt gefährlich). ჰერცბერგის შეხედულებით, განზრახვის არსებობა იმაზე კი არ არის დამოკიდებული, გარკვეული საფრთხე დამნაშავემ სერიოზულად აღიქვა თუ არა, არამედ იმაზე, სერიოზულად აღსაქმელი საფრთხე მან შეიყნო თუ არა. ჰერცბერგმა ფაქტობრივად, განზრახვის ობიექტივაცია მოახდინა და პრობლემის გადაჭრა ქმედების ობიექტური შემადგენლობის სიბრტყეზე სცადა, რაც არ შეიძლება მართებულად მივიჩნიოთ⁴⁴.

განზრახვის ასეთი გაგებით, შეუძლებელია ადამიანი მკვლელობის განზრახვით მოქმედებდეს უვარგისი მცდელობის დროს, ვინაიდან ან ვარგისი ობიექტი ან დანაშაულის ჩასადენად ვარგისი საშუალება არ არსებობს, რაც ავტომატურად გამოირიცხავს ქმედების საშიშროების იმ ხარისხს, რომელსაც ჰერცბერგი განზრახვის არსებობის დასასაბუთებლად ითხოვს. რასაკვირველია, ობიექტური მომენტიც მეტად მნიშვნელოვანია ევენტუალური განზრახვისა და გაუფრთხილებლობის და ზოგადად, განზრახვისა და განზრახველობის გასამიჯნად, მაგრამ ობიექტური

⁴⁴ ⁴⁴ თემურ ცქიტიშვილი, ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის უ. მართლმსაჯულება და კანონი N4(43) 2014 გვ.104

მომენტისათვის გადაჭარბებული მნიშვნელობის მინიჭება და განზრახვის და განუზრახველობის გამიჯვნის საკითხის ქმედების ობიექტური შემადგენლობის პრობლემად გამოცხადება მიუღებელია. ზემოთ განხილული წარმოსახვის თეორიებისაგან განსხვავებით, ვოლუნტატური თეორიების წარმომადგენლები განზრახვის დეფინიციის ჩამოყალიბებისას, ითვალისწინებენ როგორც კოგნიტურ, ისე ვოლუნტატურ ელემენტებს. ვოლუნტატური ნიშანი განზრახვის ფორმების დასადგენად მეტად მნიშვნელოვანია. იგი ასევე, განსაკუთრებულ როლს იძენს განზრახვის და განუზრახველობის გასამიჯნად.

ვოლუნტატური თეორიის ზოგიერთი წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ ევენტუალური განზრახვით მოქმედების დროს მოქმედი არა მხოლოდ შესაძლებლად უნდა თვლიდეს შედეგის დადგომას, არამედ შინაგანადაც უნდა ეგუებოდეს მას (billigend in Kauf nehmen). ხოლო ის, ვინც შინაგანად არ ეგუება შედეგის დადგომას და იმედოვნებს, რომ შედეგი არ დადგება, მოქმედებს განზრახვის გარეშე. აღნიშნული დებულების მიხედვით, არაპირდაპირი განზრახვით მოქმედებს ის, ვინც 4 მეტრის სიმალიდან, ფანჯრიდან 70 წლის ადამიანს გადააგდებს.⁴⁵

შროტის თვალსაზრისით, შეფასება, რომელიც პასუხს იძლევა კითხვაზე, პიროვნება მოქმედებდა ევენტუალური განზრახვით, თუ გაუფრთხილებლობით, არის არა თეორიული, არამედ პრაქტიკული შეფასება. იგი ეხება საკითხს არა იმის თაობაზე, თუ როგორი ადეკვატურია სინამდვილე, არამედ საკითხს, თუ როგორ სწორად განვმარტავთ ქმედებას. ევენტუალური განზრახვა არსებობს არა სპეციფიკური რეალობისათვის, არამედ იგი არის შერაცხვის ფორმა, რომლის დახმარებითაც პასუხისმგებლობის დაკისრება ხდება. შროტის შეხედულებით, ევენტუალური განზრახვის დადგენა ხდება რეალობისაგან მონყვეტით, რაც მიუღებელია. არ შეიძლება განზრახვისა და

⁴⁵ ⁴⁵ თემურ ცქიტიშვილი, ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის უ. მართლმსაჯულება და კანონი N4(43) 2014 გვ.106

გაუფრთხილებლობის რეალობისაგან მონყვეტილად დადგენა. მართალია, რეალობა და ადამიანის აღქმა არსებული რეალობისა შეიძლება არ იყოს ადეკვატური, მაგრამ იმის მიხედვით, ვადგენთ განზრახ განხორციელდა ქმედება თუ განუზრახველად, თუ რამდენად სწორად ჰქონდა მოქმედ პირს არსებული რეალობა აღქმული. თუ ერთმანეთს არ ემთხვევა არსებული რეალობა და მისი აღქმა, ადგილი აქვს გაუფრთხილებლობას ან უვარგის მცდელობას. უვარგისი მცდელობის დროს, ადამიანი სწორად ვერ აფასებს რეალობას და მოქმედი პირი ცდება ან იარაღში ან ობიექტთან დაკავშირებით (ჰგონია ცოცხალს ესვრის, მაშინ, როცა იგი მკვდარია), ხოლო მაშინ, როცა განუზრახველად ხორციელდება ქმედება, შეცდომის დაშვება ხდება ქმედების საშიშროებასთან (საფრთხე აბსტრაქტული ჰგონია) ან ობიექტთან დაკავშირებით (ჰგონია დათვს ესვრის, მაგრამ ესროლა ადამიანს). რაც შეეხება პირდაპირ და ევენტუალურ განზრახვას, იგი გულისხმობს რეალობის ისე აღქმას, როგორც იგი არსებობს, თუ უვარგის მცდელობას არა აქვს ადგილი.

2.2. დანაშაულის ჩადენის გადანყვეტილება ევენტუალური განზრახვით

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისით, როცა ქმედების განხორციელების დროს მოქმედს გაცნობიერებული აქვს ქმედების შემადგენლობის განხორციელების შესაძლებლობა, ქმედებით გამოწვეული შედეგი არის სამართლებრივი სიკვითის წინააღმდეგ მიღებული გადანყვეტილების პროდუქტი. მაშასადამე, ევენტუალური განზრახვის დროს დამნაშავეს დანაშაულებრივი შედეგის გამოწვევა გადანყვეტილი აქვს, ვინაიდან ევენტუალური განზრახვის დროს დამნაშავე მართლაც უშვებს დანაშაულებრივი შედეგის დადგომის შესაძლებლობას. ქართულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში აღნიშნულ შეხედულებას იზიარებს ლ. მალლაკელიძე, რომელიც აღნიშნავს, რომ ევენტუალური განზრახვის დროს

დამნაშავეს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა გადანყვეტილი აქვს, რაც მეტად საკამათოა⁴⁶.

ქართულ ლიტერატურაში გამოთქმული მართებული მოსაზრებით, გადანყვეტილება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით მიიღება. ევენტუალური განზრახვით გადანყვეტილების მიღება შეუძლებელია. დ.

უზნაძის შეხედულებით, გადანყვეტის მომენტში სუბიექტს უჩნდება სპეციფიკური განცდა, რომელიც შეიძლება შემდეგნაირად გამოითქვას: „მე მინდა... ეს მე ნამდვილად მინდა.“ ეს განცდა არ უნდა გავიგოთ როგორც უბრალო დადასტურება, შემეცნება თუ გაგება, უბრალო დამონშება, რომ სუბიექტს მანამდე რაღაც არ უნდოდა და ახლა უკვე უნდა. „ეს „მე მინდა“ ის აქტუალური ფაქტორია, რომელიც წარმართავს მომავალ მოქმედებას: მასში განიცდება, რომ სწორედ ეს უნდა მოხდეს და არა სხვა რამ, რომ ყოველი სხვაგვარი შესაძლებლობა გამორიცხებულია.“⁴⁷ თუ გადანყვეტის აქტამდე ადამიანი ყოყმანობს და აღგზნებულობას განიცდის, გადანყვეტის აქტის დროს იგი ქრება და მის ნაცვლად საბოლოოდ, გარკვეულობის, სიმყარის და სიმშვიდის განცდა ჩნდება. როცა

ადამიანი გადანყვეტილებას იღებს, განიცდის, რომ სწორედ ის უნდა მოხდეს, რასთან დაკავშირებითაც მიიღო გადანყვეტილება. მაგრამ, ეს არ ეხება მხოლოდ ქმედებას ცალკე აღებულს, არამედ კონკრეტული შედეგის განხორციელებასაც. გადანყვეტილება, ამ გაგებით, შეუძლებელია მიღებული იქნას იმ შედეგის განხორციელებაზე, რომლის გამონვევისკენაც ქმედება მიმართული არ არის და რომელიც განიხილება თანამდევ შედეგად.

⁴⁶მაღლაკელიძე ლ., განზრახვის ცნების ზოგიერთი პრობლემისათვის თანამედროვე გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში, კრებულში: სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, თბილისი, 2013, გვ. 314; მაღლაკელიძე ლ., განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2013, გვ. 58.

⁴⁷თემურ ცქიტიშვილი, ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის უ. მართლმსაჯულება და კანონი N4(43) 2014 გვ.107

გადანყვეტილება მიიღება იმ შედეგის გამოწვევასთან დაკავშირებით, რომლის დადგომის მიზნით დამნაშავე მოქმედებს ან რომლის განხორციელების გარდუვალობაც მას გაცნობიერებული აქვს. ამიტომ, არასწორად მსჯელობს დ. ოელერი, როცა აღნიშნავს, რომ გადანყვეტილება სამართლებრივად სხვა არაფე რია, ვიდრე განზრახვა.

სავსებით მართებულად მიუთითებს ე. მეცგერი, რომ გადანყვეტილება და განზრახვა არ არის იდენტური.³³ განზრახვა და გადანყვეტილების მიღება ერთმანეთისაგან განსხვავდება და მათი გაიგივება ყოვლად დაუშვებელია. განზრახვა (მაშინ როცა განზრახვის სახეა არაპირდაპირი განზრახვა) უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე გადანყვეტილების მიღება, რამდენადაც განზრახვი ქმედება არა მხოლოდ მიზანდასახულ, არამედ ისეთ ქმედებასაც მოიცავს, რომელიც გამიზნული არ არის.

მეცნიერთა ნაწილი სწორად აღნიშნავს, რომ ქურდობის განხორციელების გადანყვეტილება მოითხოვს არა მხოლოდ სხვისი ნივთის დაუფლების განზრახვას, არამედ ამ ნივთის მისაკუთრების მიზანსაც. მაშასადამე, დანაშაულის განხორციელების გადანყვეტილების მნიშვნელოვან კომპონენტს მიზანი წარმოადგენს. თანმიმდევრული არ იქნება მსჯელობა, თუ ერთი მხრივ, დანაშაულის განხორციელებასთან დაკავშირებით მიღებულ გადანყვეტილებასა და განზრახვას ერთმანეთისაგან გავმიჯნავთ, გადანყვეტილების აუცილებელ კომპონენტად მიზანს განვიხილავთ და, მეორე მხრივ, შესაძლებლად ჩავთვლით დანაშაულის მცდელობას არაპირდაპირი განზრახვით. დანაშაულის მცდელობა შესაბამისი გადანყვეტილების გარეშე შეუძლებელია, ხოლო გადანყვეტილება, როგორც უკვე ითქვა, არა მხოლოდ განზრახვას, არამედ მიზანსაც მოითხოვს, რაც არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის შესაძლებლობას მკვლევლობის დელიქტში თავისთავად გამორიცხავს, ვინაიდან სიცოცხლის მოსპობის მიზანი მხოლოდ მკვლევლობით შეიძლება იყოს მიღწეული, განსხვავებით სხვისი ნივთის მისაკუთრების მიზნისაგან, რომლის მიღწევა ქურდობის³⁵ გარდა სხვა დანაშაულითაც არის

შესაძლებელი. ვინც მკვლევლობის განხორციელებას ცდილობს, მას გადანწყვეტილი უნდა ჰქონდეს ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, რაც ნიშნავს, რომ მკვლევლობის მცდელობისას, დამნაშავე მიზნად უნდა ისახავდეს ადამიანის სიცოცხლის მოსპობას ე. ი. უნდა სურდეს იგი ან უნდა აცნობიერებდეს ასეთი შედეგის დადგომის გარდაუვალობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მკვლევლობის მცდელობისას, დამნაშავე სხვისი სიცოცხლის მოსპობასთან დაკავშირებით პირდაპირი განზრახვით მოქმედებს. თუ შესაძლებლობის თეორიას დავუჭერთ მხარს, გაუგებარია, როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედება მაშინ, როცა დამნაშავე ჯანმრთელობას მძიმედ დაუზიანებს სხვა ადამიანს და აცნობიერებს იმის შესაძლებლობას, რომ მის ქმედებას შეიძლება მსხვერპლის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვეს, თუმცა, დამნაშავე არ მოქმედებდა სხვისი სიცოცხლის მოსპობის სურვილით.

თუ ქმედებას მკვლევლობის მცდელობით დავაკვალიფიცირებთ, მაშინ რა საჭიროა საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლი, რომელიც პასუხისმგებლობას ითვალისწინებს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის?! იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისით, „დანაშაულებრივი გადანწყვეტილების“ ცნებაში იგულისხმება, რომ დამნაშავეს დანაშაულის ჩასადენად საკმარისი დამაჯერებლობა გააჩნია. აღნიშნული მოსაზრება მართებულია, მაგრამ აქ მთავარია, თუ როგორ გავიგებთ სიტყვებს: „დანაშაულის ჩასადენად საკმარისი დამაჯერებლობა.“ ასეთი დამაჯერებლობა მაშინ აქვს დამნაშავეს, როცა იგი დარწმუნებულია მის ქმედებაში, როცა მას წარმოდგენილი აქვს თუ რა შედეგი მოჰყვება განხორციელებულ ქმედებას და სურს კიდევაც შედეგის დადგომა. შეუძლებელია დამნაშავეს „დანაშაულის ჩასადენად საკმარისი დამაჯერებლობა“ ჰქონდეს მაშინ, როცა იგი გარკვეული შედეგის დადგომას მხოლოდ უშვებს და ამავდროულად, არც სურს მისი განხორციელება. მართებულად არ შეიძლება ჩაითვალოს მოსაზრება, რომ ევენტუალური განზრახვის დროს,

დამნაშავე სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის გადანყვეტილებით მოქმედებს. ევენტუალური განზრახვის დროს, როცა მოქმედი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის თავიდან აცილების შესაძლებლობის გაცნობიერებით მოქმედებს, ვერ ვიტყვით, რომ მას გადანყვეტილი ჰქონდა. ამ სიკეთის ხელყოფა. ხშირად ადამიანი არასასურველ გადანყვეტილებასაც იღებს, მაგრამ განსახორციელებელი ქმედების და შესაბამისად, მოსალოდნელი შედეგის აუცილებლობის შეგნებით. ასეთ დროს მოქმედ პირს არ გააჩნია გამოკვეთილი სურვილი გარკვეული ქმედების განხორციელებისა და შედეგის დადგომის, მაგრამ ამ ქმედებას მაინც ახორციელებს და შედეგის დადგომის გარდაუვალობასაც აცნობიერებს, რამდენადაც იგი გარკვეული გარემოებიდან გამომდინარე, აუცილებლად და საჭიროდ მიაჩნია. ეს მდგომარეობა არ გამოხატავს იმ ვითარებას, როცა ადამიანი ევენტუალური განზრახვით მოქმედებს. იგი უფრო მეტად განზრახვის იმ ფორმას შეესატყვისება, რომელსაც სისხლის სამართლის მეცნიერებაში მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის სახელწოდებით მოიხსენიებენ.

ქმედების შემადგენლობაში ნორმატიულობის მომენტის შეტანა არ არის უცხო თანამედროვე იურიდიულ დოქტრინაში. ამის კლასიკურ მაგალითს კი წარმოადგენს ობიექტური შერაცხვა, რომელიც მიზეზობრივი კავშირის დადგენის შემდგომი ეტაპია. ცნობილია, რომ სისხლის სამართლის დოგმატიკაში ობიექტური შერაცხვა განიხილება, როგორც ნორმატიული კატეგორია და მისი მნიშვნელობა დღეს უკვე ეჭვს აღარ იწვევს. გამომდინარე აქედან, თუ ქმედების ობიექტურ შემადგენლობაში შეიძლება შეფასების მომენტის შეტანა, ეს რატომ უნდა იყოს შეუძლებელი ქმედების სუბიექტურ შემადგენლობაში? პასუხი ამ შეკითხვაზე დადებითია. ამის ნათელ მაგალითს შეადგენს ევენტუალურ განზრახვაში მოცემული „შედეგის შეგნებული დაშვება“, „შედეგისადმი გულგრილი დამოკიდებულება“ ან კიდევ „შედეგის მოწონება“, რომლებიც ასევე, ნებელობით მომენტებზე დაიყვანება და შეფასებას ნიშნავს. დამნაშავე ყველა ამ შემთხვევაში ერთნაირად ურიგდება

შედეგის დადგომის შესაძლებლობას. გარდა ამისა, ისიც აშკარაა, რომ იურიდიულ ლიტერატურაში თანდათან შეინიშნება განზრახვაში ნორმატიული ელემენტების შემოტანის მცდელობის ტენდენცია არა მარტო იმ მეცნიერთა შეხედულებებში, რომლებიც ნებელობითი კომპონენტის დასაბუთებას მიზანშეწონილად მიიჩნევენ, არამედ, აგრეთვე, იმ ავტორთა მოსაზრებებშიც, რომლებიც ევენტუალურ განზრახვაში ნებელობის მომენტის მნიშვნელობას პირდაპირ არ აღიარებენ. ასე მაგალითად, გერმანელი პროფესორი გ. იაკობსი, რომელიც, თავის მხრივ, განზრახვაში მხოლოდ ინტელექტუალურ ელემენტს ანიჭებს მნიშვნელობას, თავის ნაშრომში ჰ. ველცელის მიერ დამკვიდრებულ ფსიქოლოგიური განზრახვის იდეას არ ეთანხმება. ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ, იგი აღნიშნავს, რომ „განზრახვა ეს არის არა ფსიქიკური ფაქტებისგან შემდგარი შერაცხაობის ხელოვნური კავშირი, არამედ დამოუკიდებელი, ნორმატიული შერაცხვითი კატეგორია“.⁴⁸ „ევენტუალური განზრახვისა და შეგნებული გაუფრთხილებლობის ერთმანეთისგან ურთიერთგამიჯვნა ნორმატიული შეფასების მასშტაბის დადგენის გარეშე რთულია“, – აღნიშნავს კ. როქსინი. მისი აზრით, განზრახვა არ არის შიშველი ფსიქიკური მდგომარეობა, არამედ არის, ასევე, ნორმატიული, შეფასებითი კატეგორია.⁴⁹

ასეთ შემთხვევაში, უფრო მართებული იქნებოდა, რომ განზრახვის ცნებაში ნებელობის დესკრიფციულ-ფსიქოლოგიური კატეგორია მიგვეჩინა როგორც ამ ცნების დამოუკიდებელი „დანერლი“ ნიშანი, ხოლო ნებელობის ნორმატიულ-შერაცხვითი გაგება – არა როგორც განზრახვის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი, არამედ ქმედების სუბიექტური შემადგენლობის

⁴⁸ მალლაკელიძე ლ., განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2013, გვ.171

⁴⁹ მალლაკელიძე ლ., განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2013, გვ.171

დაუნერელი შეფასებითი ნიშანი.

ქართულ

სისხლის სამართლის დოგმატიკაში, ისევე როგორც გერმანულ დოქტრინაში, განზრახვა გულისხმობს როგორც ინტელექტუალური, ისე ნებელობითი მომენტების არსებობას, მიუხედავად იმისა, ქმედება ჩადენილია პირდაპირი თუ არაპირდაპირი განზრახვით. ევენტუალური განზრახვა – ეს არის შედეგის დადგომის შესაძლებლობის არა მარტო უბრალო გათვალისწინება და შედეგისადმი გულგრილი დამოკიდებულება ანდა შედეგის შეგნებული დაშვება, არამედ, სურვილის არარსებობის მიუხედავად, ქმედების ჩამდენი პირის მიერ შედეგის დადგომის შინაგანი მოწონებაც, რაც, თავის მხრივ, მის ნებელობით მომენტზე მიუთითებს.

თავი 3. არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვით

ჩადენილი მკვლევლობა გერმანულ სამართალში

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილი, გარკვეულწილად, განიცდის გერმანული სისხლისსამართლებრივი აზროვნების ზეგავლენას. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში მოცემულია დანაშაულის სამსაფეხურიანი სისტემა, სადაც ერთ-ერთი გადამწყვეტი ადგილი განზრახვის ცნებას უკავია. სწორედ განზრახვის ცნების დეფინიციამ გამოიწვია დიდი დისკუსია არა მარტო ქართულ, არამედ ასევე ევროპის ქვეყნების სისხლის სამართლის სამეცნიერო წრეებში. დღემდე არ არსებობს ამ პრობლემასთან დაკავშირებით ერთიანი პოზიცია. აზრთა სხვადასხვაობა გამოწვეულია დანაშაულის სამსაფეხურიან სისტემაში განზრახვისა და მართლწინააღმდეგობის შეგნების ადგილისა და ბუნების, ბრალის არსისა და დანიშნულების შესახებ რადიკალურად განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობის არსებობით.

ამასთან, სისხლის სამართლის ლიტერატურაში დაისვა საკითხი შემდეგნაირად: შესაძლებელია თუ არა, რომ დანაშაულზე ხელის აღებად ჩაითვალოს შემთხვევა, როდესაც დამნაშავე დაზარალებულის გადარჩენას შესაძლებლად თვლის (და არა გარდაუვლად), ე. ი. როდესაც დამნაშავე მოქმედებს ევენტუალური განზრახვით. მაშასადამე, იგი დაზარალებულის გადარჩენაში დარწმუნებული არ არის. ევენტუალური განზრახვით დანაშაულზე ხელის აღების შესაძლებლობის საკითხი გერმანული სისხლის სამართლის პრაქტიკაში შემდეგნაირად წყდება: მაგალითად, ა. თავის ცოლს ქ.-ს ერთხელ დაარტყა დანა მუცელში. იგი საკმაოდ აგრესიულად იყო განწყობილი ცოლის მიმართ. მიუხედავად ამისა, მან შეწყვიტა დანაშა-

უღებრივი ქმედება და ოთახიდან გავიდა. გერმანიის მიწის სასამართლომ ამ შემთხვევაში უარყო ნებაყოფლობით ხელის აღების ფაქტი, რადგან, მისი აზრით, არაპირდაპირი განზრახვით განხორციელებული მკვლელობის მცდელობა, როგორც ობიექტურად, ისე სუბიექტურად დამთავრებული იყო.

ამასთან დაკავშირებით, გერმანიის ფედერალური სასამართლო ფიქრობს, რომ ასეთი შეფასება დავას არ გამოიწვევდა მაშინ, თუკი დადგინდებოდა, რომ ბრალდებული მხოლოდ არაპირდაპირი განზრახვით მოქმედებდა, ანუ თუ მას ცოლის მოკვლა პირდაპირ არ ჰქონდა განზრახული. მაგრამ, რადგან არსებულ სიტუაციაში პირდაპირი განზრახვაც არ იყო გამორიცხული, ამიტომ ფედერალურმა სასამართლომ გააუქმა განაჩენი და მიუთითა იმაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში, ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობა სახეზეა და ამიტომ *ინ დუბიო პრო რეო-პრინციპით* განზრახვის ყველაზე მძიმე ფორმაზე უნდა გაკეთებულიყო აქცენტი. ამ მაგალითის მსგავსია ისეთი შემთხვევა, როდესაც დამნაშავე, დაზარალებულთან ჩხუბის შემდეგ, მიუახლოვდა მას და არაპირდაპირი განზრახვით მუცელში დანა დაარტყა. დამნაშავის მიზანი იყო დაზარალებულისათვის „ჭკუა ესწავლებინა“. მას დაზარალებულის მოკვლის სურვილი არ ჰქონია, თუმცა მისი სიკვდილის დადგომას, შესაძლებლად მიიჩნევდა. ამის შემდეგ, დამნაშავე წავიდა იქვე ახლოს მცხოვრებ ნაცნობთან და სთხოვა მას პოლიციის და სასწრაფო დახმარების გამოძახება. დაზარალებული ოპერაციის შედეგად გადაარჩა. პირველმა ინსტანციამ ნებაყოფლობით ხელის აღებაზე საერთოდ არ გაამახვილა ყურადღება, ხოლო ფედერალურმა სასამართლომ განაჩენი გააუქმა და დანაშაულებრივი მიზნის გათვალისწინებით, ორი შესაძლებლობა გამოკვეთა: პირველი, დამნაშავეს სურდა მსხვერპლისათვის „ჭკუა ესწავლებინა“ და დანის პირველი დარტყმის შემდეგ, ჩათვალა, რომ მიზანს მიაღწია, და, მეორე, დამნაშავეს სურდა დაზარალებული დანის მრავლობითი დარტყმით მოეკლა, მაგრამ პირველი დარტყმის შემდეგ, დამნაშავემ შედეგის გამოწვევა

შესაძლებლად მიიჩნია. ფედერალური სასამართლო „ჭკუის სწავლების“ პირველ ვარიანტს მიიჩნევს სწორად და მიუთითებს იმაზე, რომ „ჭკუის სწავლების“ დროს დამნაშავეს დაზარალებულის მოკვლა არ სურდა, თუმცა ქმედების განხორციელების დროს დამნაშავეს შედეგის გამოწვევა ასევე შესაძლებლად მიაჩნდა, მაშასადამე, შედეგის მიმართ იგი მოქმედებს ევენტუალური განზრახვით. ამიტომ, დამნაშავის ქმედებაში აშკარად იკვეთება მცდელობის ნიშნები, მაგრამ მას იმაზე მეტი არ გაუკეთებია, ვიდრე ეს დაზარალებულისათვის ტკივილის მიყენების მიზანს ემსახურება, ამიტომ ფედერალურ სასამართლოს მიაჩნია, დამნაშავის ქმედება ასეთ შემთხვევაში დაუმთავრებელი მცდელობის სტადიაზე ნებაყოფლობით ხელის აღებად უნდა შეფასდეს.

გერმანიის ფედერალური სასამართლოს სისხლის სამართლის მე-5 სენატმა უარყო ნებაყოფლობით ხელის აღების ფაქტი ა. საქმეზე. კაზუსის ფაბულა მდგომარეობს შემდეგში: ლ. გამოეკიდა ბრალდებულ ა. ამ უკანასკნელმა გაქცევით უშველა თავს, მაგრამ, როდესაც ლ. დაენია დაზარალებულს, მაშინ ა.-მ ერთხელ გაისროლა ლ.-ს მიმართულებით, რათა მას შეეწყვიტა ა.-ს დევნა. ამასთან, ა. ითვალისწინებდა ლ.-ს სიკვდილის დადგომის შესაძლებლობას. ა.-მ, შესაძლებლობის მიუხედავად, მეორე გასროლა ლ.-ს მიმართულებით არ განახორციელა და კაფეში დაიმალა. გერმანიის ფედერალური სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილება ეჭვს იწვევს, ვინაიდან არ შეიძლება ორ ერთმანეთის მსგავს სიტუაციას განსხვავებული სამართლებრივი შეფასება მიეცეს. თუკი დამნაშავის ქმედება ნებაყოფლობით ხელის აღებად ფასდება მაშინ, როდესაც დამნაშავეს დაზარალებულისათვის მხოლოდ „ჭკუის სწავლება“ უნდა და დანის ერთხელ დარტყმის შემდეგ, სასწრაფო დახმარებას და პოლიციას გამოიძახებს, რატომ არ შეიძლება ანალოგიური შეფასება მიეცეს დამნაშავის ქმედებას მაშინაც, როდესაც იგი მხოლოდ შეშინების მიზნით, ერთხელ ესვრის შემპყრობს, მაშინ, როდესაც დამნაშავეს

მეორედ გასროლის შესაძლებლობა გააჩნია. სამართლებრივად ეს ორი შემთხვევა ერთნაირი დასკვნების გაკეთების საფუძველს იძლევა. სხვაგვარად იქნებოდა საქმე მაშინ, როდესაც ბრალდებული დანის ერთი დარტყმის ან ერთხელ სროლის შემდეგ, კვლავ განახორციელებდა დანაშაულებრივ ქმედებას, რის საფუძველზეც ბრალდებულის ქმედება ახალ დანაშაულებრივ გადაწყვეტილებად უნდა შეფასებულიყო.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო პრაქტიკა და დოგმატიკა (უმრავლესობის პოზიცია) ცხადყოფს, რომ დანაშაულზე ხელის აღებისათვის საკმარისია როგორც მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვა, ასევე ევენტუალური განზრახვა.⁵⁰

ნაშრომში დანაშაულის მცდელობის სუბიექტური შემადგენლობის დახასიათებისას გამოიკვეთა ისეთი პრობლემა, როგორიც არის ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობის საკითხი. როგორც უკვე აღინიშნა, გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკასა და სასამართლო პრაქტიკაში ევენტუალური განზრახვით მცდელობის დასაბუთება პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან გაბატონებული შეხედულების მიხედვით, თუ ევენტუალური განზრახვა დამთავრებული დანაშაულის დასაბუთებისათვის საკმარისია, მაშინ დაუმთავრებელი დანაშაულისთვისაც საკმარისი უნდა იყოს იგი. ასეთი მიდგომა სავსებით მისაღებია ქართულ სისხლის სამართალშიც, სადაც პოზიციები მკაცრად პოლარიზებულ ხასიათს ატარებს. ისტორიულად ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკა უარყოფდა ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობას, თუმცა თანამედროვე სისხლის სამართლის დოგმატიკასა და ასევე, სასამართლო პრაქტიკაში მკვიდრდება აზრი არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის შესაძლებლობის შესახებ. აღნიშნული არ

⁵⁰ ლევან ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად თბ. 2013, გვ.333-3335

ენინაალმდეგება საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლის შინაარსს, პირიქით, გამომდინარეობს მისგან და აკმაყოფილებს სისხლის სამართლის პრინციპების მოთხოვნებს⁵¹

პირდაპირი განზრახვის დროს კაცს შეიძლება არც ჰქონდეს სურვილი შედეგის დადგომის განხორციელებისა, მაგრამ ითვალისწინებდეს ასეთი შედეგის დადგომის გარდუვალობას. მაგალითად, კაცმა იცის, რომ მტერთან ერთად ავტომობილში იმყოფება სხვა კაციც, რომლის მოკვლაც სუბიექტს არ უნდა, მაგრამ ავტომობილს მაინც აფეთქებს. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს პირდაპირ განზრახვასთან, ვინაიდან ავტომობილში მყოფი სხვა კაცის სიკვდილი გარდაუვალია. მოვიყვანოთ მეორე მაგალითიც, იაშვილმა ააფეთქა თავისი სუპერმარკეტი დაზღვევის მიღების მიზნით. შენობის მეორე სართულზე ცხოვრობდა ლოგინად ჩავარდნილი მოხუცი, რომლის სიკვდილი იაშვილს არ სურდა, მაგრამ უშვებდა სიკვდილის გარდუვალობას. მოხუცი დაიღუპა. შეათვასეთ იაშვილის ქმედება მკვლელობის ნაწილში. იაშვილმა ჩაიდინა დამამძიმებელ გარემოებაში მკვლელობა პირდაპირი განზრახვით. ქმედების ობიექტური მხარის ელემენტების ცოდნა და მისი განხორციელების სურვილი აქვს იმ პირსაც, ვინც მოქმედებს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოებისას, ე.ი. იმას, ვინც მართლზომიერად მოქმედებს.

დაბოლოს, “. . . განზრახვა ყოველთვის არ გულისხმობს ბოროტ განზრახვას, როგორც ამას გერმანელი იურისტი ჰ. ველცელი ამბობდა. განზრახვა ზოგჯერ კეთილია, ზოგჯერ ბოროტი და ეს უნდა გაირკვეს

⁵¹ლევან ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად თბ. 2013, გვ. 382

ბრალის მსჯელობის დროს. ბრალი შეფასებითი, ნორმატიული ცნებაა, ხოლო განზრახვა ფაქტობრივი გარემოებაა”⁵².

ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში, გერმანულისაგან განსხვავებით, განზრახვას ვერ განვმარტავთ როგორც ქმედების განხორციელების ცოდნასა და სურვილს, რადგან ევენტუალური განზრახვის საკანონმდებლო დეფინიცია შედეგის დადგომის სურვილის არქონაზე ამახვილებს ყურადღებას. გარდა ამისა, მხარდაჭერას არ იმსახურებს მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქოს ევენტუალურ განზრახვაში სუსტი სურვილის არსებობის დასადასტურებლად ნებელობის დოგმატიკური ფიგურის შემოტანა აღნიშნულ პრობლემას ვერ გადაჭრის⁵³.

მართლაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, გერმანულ სისხლის სამართლის კოდექსში, მართალია, არ არის განსაზღვრული განზრახვის ცნება, თუმცა, მეცნიერებაში ჩამოყალიბებულია მისი ზოგადი განმარტება: „განზრახვა ეს არის ცოდნითა და ნებელობით განხორციელებული ქმედების შემადგენლობა”. განზრახვის ასეთი დეფინიცია არ წარმოადგენს განზრახვის ზუსტ განმარტებას, მაგრამ არის მისი მოკლე „ფორმულა”, რომელიც თავის თავში მოიცავს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ განზრახვას. მაშასადამე, გერმანული სისხლის სამართლის დოქტრინაში განზრახვის ამგვარი ზოგადი ფორმულა გამოიყენება იმისდა მიუხედავად, დამნაშავეს სურდა თუ არა შედეგის განხორციელება. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში სწორად არის მითითებული, ეს ზოგადი ფორმულა გამოყენებულ უნდა იქნეს ფრთხილად და გარკვეული დათქმებით. სისხლის სამართლის დოგმატიკაში თითქმის ერთხმადაა აღიარებული, რომ განზრახვის ასეთი ფორმულირება

⁵² ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, ზოგადი ნაწილი, პირველი წიგნი, მეორე შევსებული გამოცემა, თბილისი, 2008, გვ. 99.

⁵³ ლ. მალლაკელიძე განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) (დისერტაცია) თბ. 2012, გვ. 169

არაზუსტი, არაკონკრეტული ცნებაა, რის გამოც საჭიროებს დაზუსტებას.⁵⁴

ამგვარი დაკონკრეტების ერთ-ერთ მსდელლობას წარმოადგენს მ. ტურავას მიერ შემოთავაზებული განზრახვის ცნება, რომელიც გერმანული განზრახვის ზოგადი ფორმულის ანალოგია ქართულ სისხლის სამართლის თეორიაში. ავტორისეული ინტერპრეტაციით, განზრახვა ეს არის „ცოდნა იმისა, რასაც ვაკეთებ, ნებელობა იმისა, რასაც ვაკეთებ“.⁵⁵ მეცნიერი ამ შემთხვევაში ყურადღებას ამახვილებს განზრახვის ორ – ინტელექტუალურ და ნებელობით – კომპონენტზე და მას ახასიათებს მხოლოდ ამ ნიშნებით, მიუხედავად იმისა, ქმედება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ არაპირდაპირ.

სწორედ ამიტომ, ზოგიერთი გერმანელი ავტორი, ასე მაგალითად, ე. შმიდჰოიზერი მას ე.წ. „ქმედების გაურკვეველი გაცნობიერების“⁵⁶ სახელწოდებით მოიხსენიებს და მთელი ყურადღება ასეთ შემთხვევაში განზრახვის ინტელექტუალურ მომენტზე აქვს გადატანილი.

სიტყვა „არაპირდაპირი“ აქ ეტიმოლოგიურად კი არ უნდა იქნეს გაგებული, არამედ მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს მის შინაარსობრივ მხარეზე. კერძოდ, განზრახვის აღნიშნულ ფორმაში „არაპირდაპირობაში“ იგულისხმება ის, რომ დამნაშავეს ნებელობითი ქმედება ირიბად მიიმართება მართლსაწინააღმდეგო შედეგისაკენ. ეს კი განპირობებულია იმით, რომ დამნაშავე ესწრაფვის სხვა, განსაზღვრულ და არა ამ კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო შედეგს. უფრო ნათლად რომ ითქვას, ასეთ შემთხვევაში არაპირდაპირი განზრახვის ნებელობითი შინაარსი გამოიხატება სხვა მიზნებისაკენ მიმართულ ქმედებაში. მაგალითად, საპროტესტო აქციის მსვლელობის დროს, ხალხის მიმართულებით უმისამართო სროლისას

⁵⁴ იქვე

⁵⁵ ტურავა (2010), გვ. 127; ტურავა (2011), გვ. 266-268.

⁵⁶ ლ. მალლაკელიძე, განზრახვა და მართლსაწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) თბ. 2012 გვ.161

დამნაშავის მოქმედების მიზანი არის არა კონკრეტული პიროვნების მოკვლა, არამედ საპროტესტო აქციის მონაწილეთა დაშინება, რათა დემონსტრაციის მონაწილეები დაიშალონ⁵⁷. ამგვარ ვითარებაში თუნდაც ერთი მოქალაქის დალუპვაც კი, ნიშნავს იმას, რომ დამნაშავემ, როგორც მინიმუმ, არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი ქმედებისთვის პასუხი უნდა აგოს, თუ იგი უშვებდა ასეთი შედეგის დადგომის შესაძლებლობას ან გულგრილად ეკიდებოდა მას. პირს, რომელიც „დანაშაულებრივ შედეგს გამოიწვევს არა „გაძლიერებული სურვილით“, არამედ „სუსტი სურვილით“, მაშინ, როდესაც მას შეეძლო ასეთი შედეგის თავიდან აცილება, არცერთ შემთხვევაში არ შეუძლია, ამტკიცოს ის, რომ ეს შედეგი მას საერთოდ არ სურდა.“⁵⁸

მაშასადამე, არაპირდაპირობა ნიშნავს არა არაპირდაპირ გადანწყვეტილებას, არამედ დამნაშავის მოქმედების ირიბ მიზანსწრაფულობას არაკონკრეტული მართლსაწინააღმდეგო შედეგისკენ.

ამ მსჯელობიდან გამომდინარე კი, იბადება ლოგიკური შეკითხვა, თუ არაპირდაპირი განზრახვა ფსიქოლოგიურად არ არსებობს, ხომ არ არსებობს იგი ნორმატიულად? ამ კითხვაზე პასუხი დადებითია. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს ცნება მარტო წმინდა ნორმატიული ხასიათისაა, მისი არსებობისათვის საჭიროა ასევე ფსიქოლოგიური მომენტების დასაბუთებაც. ეს მოსაზრება თავად ევენტუალური განზრახვის ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ფორმულიდანაც გამომდინარეობს. კერძოდ, ქართველი კანონმდებელი ევენტუალური განზრახვის დეფინიციისას, ცალსახად უთითებს მოქმედის მიერ მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობის „გათვალისწინებაზე“.

⁵⁷ ანალოგიური მაგალითი აქვს ასევე თავის სადისერტაციო ნაშრომში განხილული ი. დვალაიძეს. ამის შესახებ იხ. დვალაიძე (2008), გვ. 84.

⁵⁸ ლ. მალლაკელიძე, განზრახვა და მართლსაწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) თბ. 2012 გვ.163

ქართულისაგან განსხვავებით, ზოგიერთი ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსი განზრახვის საკანონმდებლო დეფინიციას არ შეიცავს. ამის მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ გერმანია. თუმცა, განზრახვის განმარტება მოცემულია სახელმძღვანელოებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში. გერმანულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში აღნიშნავენ, რომ ევენტუალური განზრახვის დროს პირი „ინონებს“ იმ შედეგს, რომლის მიმართაც დამოკიდებულება ევენტუალური განზრახვის ფორმით გააჩნია. მაგრამ ვ. მაყაშვილის სწორი შეფასებით „მონონება“ შეფასებითი მსჯელობის გამომხატველი ტერმინია და იგი გამოხატავს სუბიექტის დადებით ემოციურ განცდას ამა თუ იმ გარემოების მიმართ. თუმცა, ასეთი დამოკიდებულება ევენტუალური განზრახვის დროს თანამდევი შედეგის მიმართ არ არსებობს, პირიქით, ევენტუალური განზრახვით მოქმედი სუბიექტი ნასიამოვნებიც კი დარჩებოდა, თუ თანამდევი შედეგი არ დადგებოდა.⁵⁹

მეცნიერთა ერთი ნაწილი ევენტუალური განზრახვის დროს ვოლუნტატური ელემენტის არსებობას გამორიცხავს, ხოლო მეორე ნაწილი უშვებს ვოლუნტატურ კავშირს დანაშაულებრივ შედეგთან. ავტორთა ნაწილი კი, დამნაშავის ემოციურ დამოკიდებულებას შედეგის დადგომასთან მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში ანიჭებს მნიშვნელობას. ჰ. ოტო თვლის, რომ განზრახვა გულისხმობს სამართლებრივი სიკეთისათვის კონკრეტული საფრთხის შექმნის ცოდნას (კოგნიტური ელემენტი) და ამ საფრთხის განხორციელების ნებელობას (Wille) (ნებელობითი ელემენტი). განზრახვის აღნიშნული დეფინიციის მიხედვით, ჰ. ოტო ქმედების ნებელობის ვოლუნტატურ ელემენტს საფრთხის შექმნაში ხედავს.⁶⁰ მაშასადამე, აღნიშნული კონცეფციის თანახმად, ევენტუალური განზრახვით მოქმედ პირს გააჩნია იმ ქმედების ნებელობა, რომელიც კონკრეტულ საფრთხეს ქმნის.

⁵⁹ მაყაშვილი ვ., ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის, „საბჭოთა სამართალი“, 1965, #4, გვ. 26.

⁶⁰ თემურ ცქიტიშვილი, ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის გვ.97

თუმცა, საკამათო ის არის, რამდენად შეიძლება ეს ნებელობა ამ კონკრეტული საფრთხის საზიანო შედეგში რეალიზაციაზე გავრცელდეს. რამდენადაც საფრთხის შექმნა და საზიანო შედეგის გამონვევა სხვადასხვა სისხლისსამართლებრივ უმართლობას აფუძნებს, დამნაშავეს ნებელობა და ემოციური დამოკიდებულება კონკრეტული საფრთხის შექმნისა და საზიანო შედეგის გამონვევის მიმართ უნდა გაიმიჯნოს. უფრო მეტიც, ქმედების ნებელობა არ შეიძლება ქმედებით შექმნილ კონკრეტულ საფრთხეზე გავრცელდეს, ვინაიდან კონკრეტული საფრთხე ქმედებისაგან შეიძლება გამოიყოს და განხილულ იქნეს როგორც დანაშაულებრივი შედეგი, თუმცა, იგი ვერ გაიგივდება ყველანაირ შედეგთან, კერძოდ, სამართლებრივი სიკეთის ხელყოფასთან.

შესაძლებლობის თეორიის (Möglichkeitstheorie) სახელწოდებით ცნობილი მოძღვრების წარმომადგენლები თვლიან, რომ თუ ქმედების განხორციელების დროს მოქმედს გაცნობიერებული ჰქონდა ქმედების შემადგენლობის განხორციელების შესაძლებლობა, ქმედებით-გამონვეული შედეგი არის სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილების პროდუქტი. ქართულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში შესაძლებლობის თეორიას მხარს უჭერს ლ. მალლაკელიძე, რომელიც აღნიშნავს, რომ ევენტუალური განზრახვის დროს დამნაშავეს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა გადაწყვეტილი აქვს⁶¹.

ევენტუალური განზრახვის დროს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის გადაწყვეტილების არსებობის დასასაბუთებლად ლ. მალლაკელიძე აღნიშნავს: „თუ პირი ვაზნებით დატენილ იარაღს ამოიღებს, მაგრამ გადაწყვეტილი არა აქვს მოპირდაპირე მხარეს მდგომ პიროვნებას ესროლოს თუ მხოლოდ დაემუქროს, ასეთი ქმედება განზრახვას არ

⁶¹ მალლაკელიძე ლ., განზრახვის ცნების ზოგიერთი პრობლემისათვის თანამედროვე გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში, კრებულში: სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, თბილისი, 2013, გვ. 314;

აფუძნებს. ამ შემთხვევაში, არც მცდელობის კვალიფიკაცია შეიძლება, რადგან მას სამართლებრივი სიკეთის დაზიანება ან განადგურება შინაგანად გადაწყვეტილი ჯერ კიდევ, არა აქვს.⁶² აქ უპირველესად, აღსანიშნავია, რომ ქმედება არ აფუძნებს განზრახვას, არამედ ქმედებაში განზრახვა გამოხატულებას პოულობს. განზრახვის ჩამოყალიბების პროცესი ქმედების განხორციელებას წინ უსწრებს. ქმედება არა თუ არ აფუძნებს განზრახვას, არამედ თავად განზრახვა განსაზღვრავს ქმედების მართლსაწინააღმდეგო ან მართლზომიერ ხასიათს.

ნებისა და სურვილის ურთიერთგამიჯვნის საკითხის გარკვევას შეეცადა გერმანიის უზენაესი სასამართლო ერთ-ერთი გახმაურებული საქმის განხილვის დროს, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობს²⁸⁶: „კ.-სა და ა.-ს სურდათ მ.-ის დაყაჩაღება. ისინი თავიდანვე გეგმავდნენ ტყავის ქამრით მის გაკოჭვასა და ისე გათიშვას, რომ უგონო მდგომარეობაში ჩაეგდოთ და შემდგომ მისგან ნივთები გაეტაცათ. თუმცა, დამნაშავეები იმასაც ფიქრობდნენ, რომ ამ მოქმედებას შესაძლებელია, მ.-ის სიკვდილი მოჰყოლოდა, რაც მათ ნამდვილად არ სურდათ. სწორედ ამიტომ, თავდაპირველი გეგმა შეცვალეს და გადაწყვიტეს მ.-სთვის თავზე ტომარა ჩამოეცვათ და ისე გაეთიშათ. გეგმის განხორციელების დროს, ტომრის ჩამოცმისას კ.-სა და ა.-ს დიდი წინააღმდეგობა შეხვდათ მ.-ის მხრიდან, რის გამოც ისინი იძულებული გახდნენ, ისევ თავდაპირველ გეგმას დაბრუნებოდნენ და მ.-ის „გასანეიტრალებლად“ ტყავის ქამარი გამოეყენებინათ, რომელიც, ყოველი შემთხვევისთვის, თან ჰქონდათ წამოღებული. მათ მ.-ს ყელზე ტყავის ქამარი შემოახვიეს, გაუკეთეს მარყუჟი და, მისი გათიშვის მიზნით, ორივე მხრიდან მოქაჩეს. ქაჩავდნენ მანამ, სანამ მ.-მა მოძრაობა არ შეწყვიტა, რის შემდეგადაც დაეუფლნენ მის ქონებას. წასვლისას კ.-ს და ა.-ს გაახსენდათ, რომ მ.-ი შესაძლებელია, გაგუდულიყო,

⁶² თემურ ცქიტიშვილი, ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის უ. მართლმსაჯულება და კანონი N4(43) 2014 გვ.98

ამიტომ უკან მობრუნდნენ და დაზარალებულს ყელიდან ქამარი მოხსნეს. უგონო მდგომარეობაში მყოფი მ.-ის გონზე მოყვანას დამნაშავეები რამდენიმე წუთის განმავლობაში ცდილობდნენ, თუმცა ამაოდ, იგი უკვე გარდაცვლილი იყო⁶³.

ეს კონკრეტული შემთხვევა განზრახ მკვლელობაა თუ გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა, ერთი შეხედვით, შესაძლოა სადავო გახდეს. კერძოდ, აღნიშნულ მაგალითში განზრახვის არსებობის დასაბუთების არგუმენტია ის, რომ დამნაშავეებს მსხვერპლის სიკვდილის შესაძლებლობა „კონკრეტულად თვალწინ ედგათ“, ხოლო განზრახვის არსებობის საწინააღმდეგოდ მეტყველებს ის გარემოება, რომ მათ მსხვერპლის სიკვდილი საერთოდ არ სურდათ. გამოსავალი ამ პრობლემიდან კი შეიძლება იყოს იმის დადგენა, განზრახვის რომელ კომპონენტზე – ცოდნაზე თუ ნებელობაზე – უნდა გაკეთდეს ძირითადი აქცენტი.

გერმანიის უზენაესმა სასამართლომ ამ შემთხვევაში არაპირდაპირ-განზრახვის არსებობას დაუჭირა მხარი და პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ნებელობის თეორიით, უფრო სწორად კი, მისი ერთ-ერთი სახის ე.წ. მონონების თეორიით (die Einwilligungstheorie) დაასაბუთა. მან აღნიშნულ განაჩენში შემდეგი მითითება გააკეთა: „არაპირდაპირი განზრახვა შეიძლება მაშინაც იყოს მოცემული, როცა დამნაშავესთვის დამდგარი შედეგი არასასურველია.“ სასამართლომ ამ შემთხვევაში ჩათვალა: თუ დამნაშავე შედეგის დადგომას შინაგანად იწონებს და მას ეგუება, ეს იმას ნიშნავს, რომ პირს შედეგის ნებელობა (წოლლენ),

⁶³ მალლაკელიძე ლ., განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2013, 67

მიუხედავად ასეთი შედეგის დადგომის მისთვის შესაძლო არასასურველობისა.⁶⁴

ასე რომ, აღნიშნული განაჩენით სასამართლო ცდილობს განზრახვის ცნებაში არსებულ ორ კომპონენტს – ნებელობასა და სურვილს შორის ერთგვარი ზღვარი გაავლოს. კერძოდ, თუკი შედეგის დადგომა პირს გამიზნულად არ სურს, მაგრამ ეს შედეგი არის სხვა მიზნის მიღწევის საშუალება, მას აუცილებლად ქმედების შემადგენლობის განხორციელების ნებელობაც აქვს მაშინაც კი, როცა ამ ქმედების შედეგი მისთვის შეიძლება მართლაც არასასურველი აღმოჩნდეს. სასამართლოს ამ გადაწყვეტილებამ, თავის მხრივ, საფუძველი სხვა ანალოგიური დასაბუთების მქონე განაჩენებსაც დაუდო, რომელთა მიხედვით, ნებელობის ელემენტის შემონიშნება ევენტუალური განზრახვის არსებობის შემთხვევაში საჭიროდ იქნა მიჩნეული.

მაშასადამე, აღნიშნული გადაწყვეტილების მიხედვით, შეიძლება ითქვას: სურვილი და ნებელობა²⁹⁵ ერთმანეთისგან იმით განსხვავდება, რომ სურვილში მხოლოდ მიზანმიმართული მოქმედება მოიაზრება, ხოლო ნებელობაში – როგორც მიზანმიმართული, ისე არამიზანმიმართული ქმედება. გამომდინარე აქედან, „ნებელობა“ ზოგადად უფრო ფართო მნიშვნელობის ცნებაა, ვიდრე თავად ცნება „სურვილი“. ანალოგიური აზრი გამომდინარეობს ნებელობის ცნების ეტიმოლოგიური გაგებიდანაც. კერძოდ, ტერმინი „ნებელობა“ (wollen) ლიტერატურაში განმარტებულია ასევე როგორც სურვილი, თუმცა პირიქით, სურვილი ნებელობის იდენტურად არ არის მოაზრებული. ამაზე მიუთითებს აგრეთვე არაერთი გერმანელი მეცნიერიც. ასე მაგალითად, პროფესორი პ. ბიერი აღნიშნავს, რომ „თუკი ვინმეს რალაცის ნებელობა აქვს, ეს ნიშნავს უბრალოდ იმას, რომ პიროვნებაში ერთდროულადაა მოცემული სურვილის, დარწმუნების,

⁶⁴ მალლაკელიძე ლ., განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2013, 68

მოთქრებისა და მზადყოფნის ერთგვარი მონახაზი და სწორედ ეს შინაგანი სტრუქტურა არის პირის ქმედებისთვის პასუხისმგებელი.“⁶⁵

სურვილი ასეთ შემთხვევაში გულისხმობს უფრო აბსტრაქტულ, ზოგად კატეგორიას, მაშინროდესაც ნებელობა ფაქტობრივია და ნიშნავს პირის შინაგან გადაწყვეტილებას, რათა ქმედება რეალურად განხორციელდეს. უფრო კონკრეტულად რომ ითქვას, თუკი პირს ვინმეს მოკვლის მხოლოდ სურვილი აქვს, მართო სურვილის არსებობა სისხლისსამართლებრივად ირელევანტურია, მთავარია, ამ სურვილს ქმედითი ნაბიჯები მოჰყვეს, რათა იგი ნებელობით და, შესაბამისად, დასჯად ქცევად იქცეს. ამ პოზიციას ემხრობა ასევე, გერმანელი პროფესორი ჰ. ბლაიცი. მეცნიერი თავის ნაშრომში მიუთითებს, რომ „იქ, სადაც დამნაშავეს შედეგის დადგომა მხოლოდ სურს, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ განზრახვაა განხორციელებული, ამიტომ მხოლოდ სურვილი ნებელობა არ არის.“⁶⁶ აღნიშნული მოსაზრების გასამყარებლად ავტორს შემდეგი მაგალითი მოჰყავს: „თუ პირი თავის მემკვიდრეს სასიერნოდ ტყეში გაუშვებს იმ იმედით, რომ მას იქ მეხი დაეცემა და მოკვდება, მკვლელობის განზრახვა არ იქნება მოცემული. დამნაშავეს ასეთ შემთხვევაში არ შეეძლო მოვლენების მიმდინარეობაზე რაიმე ზეგავლენის მოხდენა... შესაბამისად, მხოლოდ სურვილი არაფერს ნიშნავს, თუ იგი ნებელობით ქმედებაში არ აისახა.“⁶⁷

ამრიგად, განზრახვაში სინტაგმა „არ სურდა“ არ გულისხმობს იმას, რომ შედეგის დადგომა არ იყო პირის ნების გამოხატულება. არანებელობითი განზრახვი მოქმედება სისხლის სამართლის კანონის მიხედვით დასჯადობას არ ექვემდებარება. ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპიდან

⁶⁵ მალლაკელიძე ლ., განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2013, 68

⁶⁶ მალლაკელიძე ლ., განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2013, 69

⁶⁷ იქვე, გვ.69

გამომდინარე კი სისხლის სამართალს მხოლოდ ნებელობითი ქცევა აინტერესებს და არა ე.წ. ინსტიტუტი, თუ იმპულსური მოქმედება. სწორედ ამიტომ, არაპირდაპირი განზრახვა, როგორც დანაშაულის ჩადენის შესახებ პირის შინაგანი თანხმობა და სამართლებრივი სიკეთის დაზიანების მოწონება, ყოველთვის გულისხმობს ასევე ნებელობითი ელემენტის არსებობასაც. თუმცა, ნებელობა ამგვარ ვითარებაში, ისევე როგორც მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის დროს, გაგებულ უნდა იქნეს არა წმინდა ფსიქოლოგიურად, არამედ ნორმატიულად. ეს კინიშნავს იმას, რომ ნებელობა¹ არაპირდაპირ განზრახვაში ფიქციის სახით, ე.წ. „პირობადე-ბულად“ არსებობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებელობის ელემენტის დასაბუთება სისხლის სამართალში, რომელიც ნორმატიული (შეფასებითი) მეცნიერებაა, მხოლოდ წმინდა ფსიქოლოგიურად შეუძლებელი იქნებოდა.

ნებელობის ნორმატიული ბუნება განსაკუთრებით ნათლად ჩანს ქართული სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის დეფინიციაში, რომლის შინაარსობრივ მხარესთან დაკავშირებით ანალიზი ქვემოთ იქნება წარმოდგენილი.

გერმანულ დოგმატიკასა და სასამართლო პრაქტიკაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ევენტუალურ განზრახვაში შედეგის დადგომის სურვილის არარსებობაზე ხშირად მიანიშნებენ. სწორედ ამის დამასტურებელია ფედერალური უზენაესი სასამართლოს 1955 წლის 22 აპრილის გადაწყვეტი-ლება, სადაც ცალსახადაა ხაზგასმული, რომ ევენტუალური განზრახვა არსებობს მაშინაც, როცა ქმედების ჩამდენი პირისთვის შედეგის დადგომა არასასურველია. გამომდინარე აქედან, ნებისმიერი განზრახვი მოქმედება ნებელობითი აქტია, შესაბამისად, ევენტუალური განზრახვის დროს პირის დამოკიდებულება მოქმედებასა და შედეგისადმი ნებელობითია. თუკი გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკა და სასამართლო პრაქტიკა აღიარებს ევენტუალური განზრახვის დროს ვოლუნტატიური ელემენტის

არსებობას, რატომ უნდა გამოირიცხოს იგი ქართული სისხლის სამართლის მიხედვით? როგორც მართებულად მიიჩნევს მ. ტურავა, ევენტუალურ განზრახვაში ინტელექტუალურ კომპონენტთან ერთად ასევე, საჭიროა ვოლუნტატიური ელემენტიც დასაბუთდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ევენტუალური განზრახვის ცნებაში დარჩება მხოლოდ ინტელექტუალური მხარე (ცოდნა), რაც არ იქნება საკმარისი. ნებელობის (სუსტი სურვილის) უარყოფითა და მხოლოდ ინტელექტუალური ელემენტის გამოყენებით იშლება ზღვარი ევენტუალურ განზრახვასა და თვითიმედოდებას შორის, რადგან მათი ცოდნის ელემენტი ერთმანეთს ემთხვევა და განსხვავება შედეგის ნებელობის სფეროში იკვეთება.

დაუსაბუთებელია იმაზე მითითება, თითქოს ნებელობა მხოლოდ სისხლისსამართლებრივად რელევანტურ და არარელევანტურ ქმედებათა ურთიერთგამიჯვნის კრიტერიუმს წარმოადგენს. როგორც მ. ტურავა აღნიშნული მოსაზრების საწინააღმდეგოდ მიუთითებს, მოქმედება, მართალია, არის ნებელობითი აქტი და ნებელობა უდავოდ ემსახურება სისხლისსამართლებრივად რელევანტურ მოქმედებათა დადგენას, თუმცა, ამ ფუნქციის გარდა, იგი არ კარგავს თავის მნიშვნელობას ასევე განზრახვისა და ბრალის ეტაპზე⁶⁸. ნებელობის შინაარსი სწორედ მათ არსებობაზე მსჯელობის დროს დგინდება.

⁶⁸ ტურავა (2011), გვ. 283-290. ნებელობისა და ნებელობის შინაარსს ერთმანეთისგან ასხვავებს აგრეთვე ო. გამყრელიძე. ამის შესახებ იხ. გამყრელიძე (2006), გვ. 43. ამ პრობლემასთან დაკავშირებით ასევე შდრ. გიორგიძე (2008), გვ. 45-53.

დასკვნა

არაპირდაპირი განზრახვა პირდაპირი განზრახვისაგან უმთავრესად ვოლუნტატური ელემენტით განსხვავდება. კერძოდ, თუ პირდაპირი განზრახვის დროს დამნაშავეს სურს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა, არაპირდაპირი განზრახვის დროს ასეთი სურვილი დამნაშავეს არ გააჩნია. პირდაპირი განზრახვის დროსაც შეიძლება დამნაშავეს არ ჰქონდეს შედეგის დადგომის მკვეთრად გამოხატული სურვილი, მაგრამ იგი უნდა ითვალისწინებდეს შედეგის დადგომის გარდაუვალობას, მაშინ, როცა ევენტუალური განზრახვის დროს, შედეგის დადგომის მხოლოდ შესაძლებლობას უშვებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არის გასაზიარებელი ის მოსაზრება, რომ დამნაშავეს არაპირდაპირი განზრახვის დროს ნორმატიული სურვილი აქვს. ერთი მხრივ, საკითხის ასე დაყენება ეწინააღმდეგება „სურვილის“ ბუნებას, ხოლო მეორე მხრივ, ისმის კითხვა, თუ არაპირდაპირი განზრახვის დროსაც არსებობს სურვილი, მაშინ რითი განსხვავდება არაპირდაპირი განზრახვა პირდაპირი განზრახვისაგან და რა კრიტერიუმებით ვმიჯნავთ მათ ერთმანეთისაგან. დანაშაულის ჩადენის გადანწყვეტილება დამნაშავეს მაშინ აქვს მიღებული, როცა იგი პირდაპირი განზრახვით მოქმედებს. არაპირდაპირი განზრახვის დროს დამნაშავეს არა აქვს გადანწყვეტილი იმ შედეგის გამოწვევა, რომლის დადგომასთან დაკავშირებით არც სურვილი აქვს და არც მისი დადგომის გარდაუვალობას ითვალისწინებს. არაპირდაპირი განზრახვის დროს დამნაშავეს სიამოვნებას უფრო ჰგვრის შედეგის თავიდან აცილება, ვიდრე შედეგის დადგომა. გადანწყვეტილების მიღების დროს კი, გადანწყვეტილების მიმღები დარწმუნებულია, რომ სწორედ ის შედეგი უნდა დადგეს და არა სხვა,

რომელთან დაკავშირებითაც გადანყვეტილება მიიღო. ევენტუალური განზრახვის დროს ასეთი რწმენა არ არსებობს და ეს ბუნებრივიც არის, ვინაიდან შედეგი, რომლის მიმართაც დამნაშავე არაპირდაპირი განზრახვით მოქმედებს, თანამდევია. გადანყვეტილება მიიღება არა თანამდევია შედეგის მიმართ, რომლის თავიდან აცილების სურვილი და იმედი დამნაშავეს აქვს, არამედ იმ შედეგის მიმართ, რომლის გამოსაწვევად იგი მთელ ძალისხმევას მიმართავს. არაპირდაპირი განზრახვით გადანყვეტილების მიღების შეუძლებლობა თავისთავად გამორიცხავს არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობას, ვინაიდან დანაშაულის მცდელობას წინ უძღვის შესაბამისი გადანყვეტილების მიღება. მაგალითად, მკვლელობის მცდელობა მკვლელობის განხორციელებასთან დაკავშირებით მიღებული გადანყვეტილების შედეგია. თუ მკვლელობის გადანყვეტილება არაპირდაპირი განზრახვით არ მიიღება, მკვლელობის მცდელობაც განზრახვის აღნიშნული სახით ვერ განხორციელდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გამყრელიძე ო., ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის. თბ 1998
2. გამყრელიძე გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2008
3. ებრაელიძე ებრაელიძე თ., სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, (დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ), საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2002
4. კუტალია ლ. გ., ბრალი სისხლის სამართალში, თბ., 2000
5. ლომსაძე მალხაზ, საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა) თბილისი 2014
6. მალლაკელიძე ლ., განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) (დისერტაცია) 2012,
7. ნაჭყებია გ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2011.
8. ნაჭყებია გ., ბრალისა და მისი ფორმების ერთიანობის პრობლემა სასამართლოში (გულგრილობის ცნება ბრალის ფორმების პრობლემატიკაში)/სამართალი და მსოფლიო N2, 2015
9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2009,
10. ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა (მე-8 გამოცემა) თბ. 2010
11. ტურავა მ., სისხლის სამართალი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011
12. ტურავა ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, Mმე-9 გამოცემა, თბილისი, 2013
13. ტყეშელიაძე გ., წიგნში: სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, რედ.: ნაჭყებია გ., დვალიძე ი., თბილისი, 2007
14. ცქიტიშვილი თემურ, ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის უ. მართლმსაჯულება და კანონი N4(43) 2014

15. ხარანაული ლევან, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად თბ. 2013,
16. ყვავილაშვილი ლ., განწყობა და ნებისმიერი ქცევა, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, უურნალში: „მაცნე“, 1992